

ბლებს სხვა მხრიდან შემოუტრიალდა: კულტურული ქართველობის დიდი ნაწილი ჩადგა თავისი ერის თვითგადარჩენისა და ყოველმხრივი განვითარების სამსახურში (ძმაზე პირველი ვითარების ანალიზისას ვისაუბრეთ), ასეთი სამსახურისთვის მზადყოფნას კი საფუძველი ჩაეყარა სწორედ იმ წლებში, როცა ქართველი ახალგაზრდობა ფართოდ ეზიარა რუსეთის გონებრივ ცხოვრებას, გაჯერებულს პარტიებისა და მიმართულებების ათასგარი პროტესტით, პროტესტით, ყველა გზითა და პერიპეტიების გავლით 1917 წლამდე რომ მივყავდით. ასეთ გამოსავლამდე და დაბოლოებამდე მიმართულ მრავალ გზა-ბილიკთა შორის ჯერ უნდა გაანიხილოთ ყველაზე გრძელი, შემოვლითი, რუსულ ემიგრაციაზე გამავალი გზა, ყოველგვარი მოძღვრება-შეხედულებიდან და მიმართულებიდან – ბაკუნინიდან გერცენმდე და სტრუვებან ლენინმდე – აშკარად რევოლუციური ელემენტები რომ შეიწოვა, და ზოგად კონტურებში მოვხაზოთ უფრო ახლობელი რუსული საზოგადოებრივი ლიბერალურ-პროგრესული მოძრაობა, რომელიც სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, ვითარდებოდა და ძლიერდებოდა, ფართოვდებოდა და თავის წრეში აბამდა რუსეთის ყველა, თუნდაც სულ მცირედ კულტურულ კლასს. გასავებია, რატომ მინდა საკითხების ასეთი რიგით განხილვა: ახლა რუსული რევოლუციისა და მთელი რუსული სახელმწიფოებრიობის ბედს რუსეთის ყოფილ ცენტრებში წყვეტის ზემოთ დასახელებული პირველი და არა მეორე ძალები. პოდა, მეც მათგან დავიწყებ.

უკვე დიდი ხანია, სწორედ რუსული საზოგადოების ემიგრაციულ, გადასახლებულ, საერთოდ, არალეგალურ ნაწილში საუკუნის მანძილზე მომწითებული რუსული რევოლუციის პოლიტიკური ხასიათი იქცა მეორეხარისხსოვან საქმედ; გარდაუგალად მომავალი გადატრიალების მხოლოდ პირველი საფეხური მიაჩნდათ. უკვე 50-60-იან წლებში მომავალი რევოლუციის მთავარი აზრი და მნიშვნელობა მის სოციალისტურ-კლასობრივ შეფერილობას ეფუძნდოდა. როგორი რევოლუცია უნდა მომხდარიყო, წინასწარ იყო გადაწყვეტილი და სიახროდ გამოცხადებული რუსეთის პროგრესული საზოგადოების მიერ. თუმცა, შესაძლოა, მას კიდევ ეშინოდა რევოლუციისა, მაგრამ იმდენად დიდი იყო სიძულვილი რუსული იმპერიული მთავრობის ყველაზე უფრო ჩეაქციულ, გინდ ყველაზე

გაბეჭულ ლიბერალურ აქტებში გამოვლენილი თვითნებობისადმი, რომ ფიქრადაც ირ უნდოდა გაევლო მომავალი რევოლუციის გარდაუცალი კრუნქებითი კატაკლიზმები, რევოლუციისა, რომლის პროგრამა დიდი ხანია წინასწარ იყო შემუშავებული; ოღონდ „ერთი იგრიალოს და – მოთმინების ფიალა პირთამდე სავსეა“ – ნეკრასოვის ეს სიტყვები ზუსტად ასახვდა მაშინდელ განწყობილებას. მთელი რუსული საზოგადოება, რუსული მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება, რუსეთის ყველა კლასი, სასახლის-სამთავრობო ე. წ. „კამარილიის“ და მისა დამქაშების გამოკლებით (თანაც არასრული შემადგენლობით), – ერთი სიტყვით, ყველა და ყველაფერი, ვინც და რაც ახლა განურჩევლად ერთ გროვაშია მოქცეული და „ბურუჟაზია“ ეწოდება, გადატრიალებას ამზადებდა ყველა ხერხით და ღონით, ისე თავდაუზოგავად, თითქოს სახელგანთქმული ჰანიბალის ფიციო ყოფილიყვნენ შეკრულნი. თვითნებობის მრავალ-საუკუნოვანი ქერპი რომ დაემხვნენ ისინიც, ვინც მას მთელი ძალით ტარანს! ურტყამდა. მარტის ღროებით მთავრობის გაუბედავი ცდები – ნელ-ნელა, ევოლუციური გზით მოეგვირებინა სოციალური საკითხები, მაშინვე ჩააბშო და უკვალოდ გააქრო ყოველ უაშმ საომრად შემართულმა, ძლევამოსილმა, ცეცხლოვანმა, რევოლუციურმა სოციალიზმა, დღითიდღე თანმიმდევრობით, ხელისუფლების სათავეში სულ უფრო და უფრო უკიდურესი პარტიები რომ მოჰყვადა. დაიძრა ზვავი, რომელსაც ვეღარაფერი შეაქერებდა: ვერც სამოკავშირეო ხელშეკრულებები, ვერც რუსეთის დაპყრობის საფრთხე სასტიკი გერმანიისა თუ ღალატის გამო გაბოროტებული მოკავშირეების მიერ, ვერც კოლონიალური სახელმწიფო ორგანიზმის რღვევის საშიშროება, ვერც შიში ისტორიული სირცებილისა არახულ მსოფლიო ოშში იარაღის მებისადმი ღალატის გამო, რომელიც მომავალსაც თავის კვალს დამჩნევს, ვერც რუსული რევოლუციური ძალის საუკუნოვანი თანაშრომლობა და ერთობა თავის პროგრესულ თანამოაზრებთან და „მეგობრებთან მარჯვნიდან“, ვერც ქვეყნის გაკოტრება-გაბარტიება, ყველა თვალსაზრისით და ფორმით რომ მიმდინარეობდა, დაწყე-

1 ტარანი – ძველბური საბრძოლო იარაღი, რომელიც შეღვება მოძრავი ხის კოშკისა და მასზე ჯაჭვებით მიმაგრებულ მოჩისაგან.

ბული ფულადი და ტერიტორიული დანაკარგებით, დამთავრებული შჩომის ნაყოფიერების დაქვეითებით – მოქლედ, რეალური და მორალური წონის შემნე ვერავითარი ძალა და მოსაზრება. აღმა-ოქრიდა ორი სტიქია: მასობრივი ჯობნა-უპირატესობისა და იდეური ფანატიზმისა და, აღმათ, მესამე სტიქიაც – პირადი გამორჩენისა. სოციალურმა შეფერილობამ, მისმა სქელმა ფენმ დაფარა და მაშინვე უკვალოდ გააქრო 1917 წლის ისტორიული დღეების პოლიტიკური გრუნტის მკრთალი ფონი. პოლიტიკური ხასიათის ყველა გარდაუვალი აწმყო და სამოძალო პრობლემა მაშინვე პირდაბირ დაეჭვემდებარა და მთლიანად დამოკიდებული აღმოჩნდა იმაზე, თუ რა შედეგით დასრულდებოდა კრასობრივი ბრძოლა მთელ მსოფლიოში და როგორ სწრაფად გადაწყდებოდა სოციალურეკონიგური ურთიერთობანი მსოფლიო მასშტაბით ინტერნაციონალისა და კრასობრივი დიქტატურის ნიადაგზე. წუთიერ გაელვანული ლანდებივით ქრებოლნენ გუშნდელი და სულ ახლანდელი ფაქტთა მპყრიბელნი და თვით მდგომარეობის ბატნ-პატრიონი. დიდი ძალისხმევის აღმანები, თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის ჭეშმარიტი მებრძოლნი, ცარიზმის ყოვლადძლიერებას ჩომ არ ეპულოდნენ და მთელი თავისი ძალები, პირადი სულიერი თუ მატერიალური ინტერესები განთავისუფლების საქმეს ჩომ შეალის და ოდესადაც ემიგრაციაში, გადასახლებასა თუ პატიმრობაში ერთმანეთს სიმწრით მოპოვებულ პურის ლუქმის ჩომ უყოფდნენ, ახლა შეურიგებელ მტრებად ქცეულიყვნენ. სოციალიზმის იერსახე და სექტები აღრეული და შეა საუკუნეების ქრისტიანობის იერსახესა და სექტებს მოგავონებდათ. რელიგიური შინაომები, 18 საუკუნის განმავლობაში ჩომ ულეტდა ხალხს – იმ დღიდან მოყოლებული, როცა ქრისტემ თქვა მოვედ მახვილით და არა მშვიდობადო, მე-20 საუკუნეში სოციალისტური პარტიების შინაომებმა შეცვალა. გულზე ხელი ჩომ დაიდონ, ყველაზე უფრო ნათელ წუთებში (Lucida momenta - სამედიცინო ტერმინი ჩომ ვიხმაროთ) ნებისმიერი ბელადი, ყოველი მათგანი აღიარებს: ამ შინაომების ხერხები იოტისოდენადაც არ ჩამოუვარდებოდა ბიზანტიურ-სირიულ-ეგვიპტური ბრძოლის ხერხებს, ერთმანეთთან მოის დროს ჩომ მიმართავდნენ. არიანები, მონოფაზიტები, ხატმებებრძები, შეა და ახალ საუკუნეთა ევროპელი კათოლიკები,

პროტესტანტები, ალბიგოლები, ჰუგინტები, კალვინისტები, პრესიტერიანები, ინდეპენდენტები, სხვაგვარი აღმსარებლობის მოჩტმუნეთა ათასობით წვერილი თუ მსხვილი დაგუფებანი. საკითხები: რა არის უმჯობესი, სად არის სამართალი და ბელნიერება – უწინდებურად იარაღით წყდებოდა, ოღონდ უფრო გაუმჯობესებული იარაღით: საბრძოლო მაშალის შაგიგრად ახლა დინამიტურ ბომბებს ხმარობდნენ, მხვილის მაგიგრად – რევოლვერს, საჯალათო კუნძისა და ნაჯახის მაგიგრად – შაშხანას და ა.შ.

ძალას, რომელმაც შეძლო მსოფლიო ქვეყნების ბედთა გადაწყვეტის მომენტში ასეთი მნიშვნელოვანი, გადამჭრელი როლი შეერულებინა, ქართველი ახალგაზრდობა რუს ახალგაზრდობასთან დაახლოებისთანავე გაეცნო. 60-იანი და 70-იანი წლების ქართველი ახალგაზრდობა რუსეთის თუ ევროპის, განსაკუთრებით შვეიცარიის უნივერსიტეტებსა და კურსებზე სასწავლებლად რომ ჩავიდა, მაშინვე მოხვდა სწორედ სოციალისტურ და არა უკვე არქივიზმი ჩაბარებული პოლიტიკური რევოლუციონიზმის სხვა რომელიმე წრეში. სოციალურ მოძღვრებასა და თეორიას თავის სამშობლო ქვეყნას რომ უსადაგებდა, მან ნათლად აითვისა და მის წინაშე მკაფიოდ გამოიყვეთა ასეთი აზრი: ექსპლოატაცია საქართველოში ორგერ-სამჭერ უფრო გაძლიერებულია განაპირო ქველვი-ციალური პირები, ან შეიცვალოს მეტროპოლიის სოამოისუნთქოს, აუცილებელია, ან შეიცვალოს დამოუკიდებელი არსეციალური პირობები, ანდა საქართველომ დამოუკიდებელი არსეციალური პირები, მიიღოს უფლება მიიღოს. ძალიან ახალგაზრდები კი იყვნენ, მაგრამ ნათლად ხელვდნენ და იცოდნენ, რამდენად ძლიერი იყო ერთიანი შინაომები სახელმწიფო, რა ფართოდ იყო გავრცებილი მისი ძალუსული თაობით – მათი სამშობლოს ირგვლივ – სამდლაუფლება თაობით კუთხით – მათი სამშობლოს ირგვლივ – სახელმწიფო, აღმოსავლეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით (კავკასიის ხელით, აღმოსავლეთით და მედიები კერძოდათ, ქედი), და რაც უნდა გაძელებული იცნებები და მედიები ჰქონდნენ, სხვა გამოსავალი, ე.ი. საქართველოს დამოუკიდებელგად იცოდნენ: სხვა გამოსავალი, ე.ი. საქართველოს დამოუკიდებელობა, ახალგაზრდულ ნატერაში, აღმათ, ასე ხშირად ამოტივის ტივებული, აუხდენელი ფიქრი და გარიუდი იყო. არადა, ქვემოთ ფაქტებით დაგამტკიცებ, რომ ასეთი ოცნებაც არ ყოფილი, რამეთუ ამ ოცნების მისაღვევად საჭირო იქნებოდა, სულ ცოტა, ქართველები, ამ ოცნების მისაღვევად საჭირო იქნებოდა, სულ ცოტა, ქართველები, ის, სომხების, თათრების და ყველა მთიელი ხალხის გაერთიანება,

ერთ მთლიანობად „შეკვრა და რამდენადმე ძლიერ და დიდ, ერთ-სულოვან სახელმწიფოდ ჩამოყალიბება, რომ რუსეთისაგან გამოყოფის შემთხვევაში კვლავ ძველ მეურვეებს – სპარსეთსა და თურქეთს არ დაეჭიბნათ და არ ჩაეგდოთ ხელში. ხოლო გაერთიანებას საღად მთაზროვნე ხალხიც არ უჭირდა მხარს, რაღაც ქორის გუგულში ვაცვლა არ უნდოდათ; რელიგიური, ტომობრივი, ეკონომიკური თუ კულტურული სხვადასხვა ღონე ხელს შეუშლიდა ამ ხალხთა გაერთიანებას; უბადრუები იყო თვით იდეა გაერთიანებისა, რაღაც გაერთიანების პირველი ცდისთანავე გაერთიანების მოსურნე ხალხს ერთი პეტერბურგული კარმის მოსმით ციმბირის ტუნდრებში უკრავდნენ თაგს, საღაც უცელასათვის სამყოფი ადგილი გამოიძენებოდა, მერე კი — გინდ ლენაზე გაერთიანდი, გინდ ენისეიზე.

თან, თუ არ იქნებოდა ევროპის სანქცია და უყოფმანო აქტიური თანადგომა, ამაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. საქართველო ხედავდა, რომ, თუკი სულითაც, სიმპათიითაც და გეოგრაფიული მდებარეობითაც ევროპისთან უფრო ახლო მდგომი პოლონეთიც არ იყო დაიმედებული ევროპის თანადგომაში, საქართველოსთვის, რომელზედაც ევროპის ახლაც კი ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა, მის იმედად ყოფნა სასაცილო იყო. ერთი სიტყვით, რუსეთთან განშორების აზრი კოველმხრივ ისეთი უბადრუები იყო, მხოლოდ კონსერვატიული სტატიების თემად თუ გამოდგებოდა, ანდა შესაძლოა, საქართველო ახალი რეპრესიების მზეზი გამხდარიყო, თუმცა, განშორება ყველაზე ანთებულ ქართულ აზროვნებაში მოფიქრებული რეალური პოლიტიკური პროგრამა არ ყოფილა; რაც შეეხდა, რეპრესიების ავტორებს, მათ კარიერისაკენ გზა ხსნილი ჰქონდათ. მგვარად, ქართველ ახალგაზრდობას, სოციალიზმი თავის ახალ რელიგიად რომ აღიარა, რჩებოდა ერთი გზა — მონაწილეობა მიეღო საერთო რუსულ საქმიანობაში, ცალკეული სოციალისტური ჯგუფების მუშაობაში. აშკარა იყო, თუ რომელიმე მიმართულების სოციალიზმი რუსეთში ვერ დამკიდრდებოდა, იგი ვერც საქართველოში მოიკიდებდა თესეს.

სოციალიზმა ჰქონდა: ქართულ მასებში — ნოუიერი ნიადაგი, ქართველ კულტურულ ახალგაზრდობაში — ენერგიითა და რწმენით აღსაგსე შეუცვლელი მოღვაწეები, რუსულ საგანაპირო პოლიტიკაში — საუკეთესო პირობები თავისი განვითარებისათვის, ხოლო

სომეხთა ეკონომიკურ ბატონობაში — ინტენსიური ბიძგი მისი გავრცელების დასახელებლიდ. თუ რა ძალითა და სისწრაფით მოიცვა საქართველო ახალმა რელიგიამ, გვიჩვენებს უსასრულო რიგი მსხვილმანი თუ წვრილმანი ფაქტებისა. ავირჩიოთ ყოველი კალიბრი-დან თითო.

კველა სახელმწიფო სათათბიროში საქართველო აგზავნიდა მხოლოდ და მხოლოდ სოციალისტებს: მათი დასახელება ნიშნავს, დავასახელოთ სრულიად რუსეთის პირველი პარლამენტის (მისი არსებობის პირველიდან ბოლო დღეებამდე უწყვეტლივ) უკიდურესი მემარცხენე პოლიტიკური ლიდერები. ასეთი დეპუტატების გაგზავნა აშკარად მიუთითებს, რა განწყობილება იყო გაბატონებული საქართველოში, ხოლო სათათბიროებში ქართველ დეპუტატთა მიერ დაქავებული ადგილები ასევე მიუთითებს მთელი სოციალისტური რუსეთისა და სოციალისტური საქართველოს სრულ ერთიანობაზე და რუსული სოციალიზმის თითქმისდა კერძო საქართველოს აღიარებაზე. ეს აღიარება და ერთიანობა კიდევ უფრო ხაზგასმულად წარმოჩნდა ქართველი სოციალისტების როლით რევოლუციის და 1917 წლის პირველ პერიოდში. ნუთუ საჭიროა გვარების დასახლება?!

სტატიაში მიღებული ხერხის თანახმად, ესა თუ ის ზოგადი დასკვნა ილუსტრირებულად, ორი-სამი ცალკეული, ჩემი აზრით, დამახასიათებელი შტრიჩით უნდა წარმოვადგინოთ — მე მოვიტან ერთ-ერთ ფაქტს მცირე კალიბრისა, ოღონდ მეტად თვალშისაცემ ფაქტს, რომელიც ბარემ გააშესქმებს სოციალისტური სხივების თავისებურ გარდატეხას ქართულ ცნობიერებაში, საღაც მათი ძალა სრულებით არ სუსტდება.

მიმდინეული ასწლეულის დასაწყისშივე შექმნა „ქართველთა საზოგადოება მოსკოვში“. ერთხელ, მისი ორგანიზაციონური და ინიციატივრი ი. ნ. ტ. ჩვენი ორგანიზაციის სახელწოდებაზე რომ მე-საუბრებოდა, მითხრა: ბევრი ქართველი სტუდენტი მხურვალედ კი შეხვდა ორგანიზაციის შექმნის აზრს, მაგრამ შიშიც გამოთქვეს: ვაითუ სახელწოდება „ე ა რ თ ვ ე ლ თ ა ს ა ზოგადოება“ ინტერნაციონალის იდეას ეწინააღმდეგებაო. გაკვირვებულმა რომ ვკითხე, ვინ არიან ეს უცნაური ქართველები-მეთქი, რამდენიმე ისეთი პირი დამისახელა, მეც კარგად რომ ვიცნობდი და შემიძლია პირდაპირ

ვთქვა: თუ საქართველოს თუნდაც მხოლოდ ერთი წლის ბეღნიერება მათ სიცოცხლეს მოითხოვდა, ისინი დაუფიქრებლად დაღდგძნენ თავს. ზოგიერთმა მათგანმა შემდგომ საქმით დამტკიცა ეს. გა-დიოდა წლები. ყველა პარტიისა და ფრაქციის სიციალიზმი უფრო და უფრო ძლიერდებოდა და უფრო და უფრო ფრატოდ ვრცელდებოდა, განსაკუთრებით იაპონიასთან ომის შემდეგ. ჩვენი საზოგა-დოების საერთო კრებას ჩოდ კოაგმატომარქებრი, ეს იყო საზოგა-დოების დაფუძნების 12 წლის შემდეგ, დამსწრეთ მივმართვ თხ-ოვნით, კამათი წარმართათ რუსულად და არა ქართულად; იძუ-ლებული ვიყავი, ასე მოვქეცულიყავი, ჩოდ საზოგადოებას არაფერი გნებოდა, რადგან ვიცოდი, მოსკოვის აღმინისტრაცია აღმაცერად ზოგადოების დასახურად, ხოლო ჩვენს შშობლიურ ენაზე კამათი უმაღლ გახდებოდა საამისო ხელჩასაჭიდი მიზეზი. და, ღმერთო ჩემ, რომ იცოდეთ, როგორი წინააღმდეგობა გამიწიეს ჩვენმა ინტერნა-ციონალისტებმა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ჩემი დაუინებით როგორლაც შევძელი მათი დაყოლიერია. ვერც წარმოდგენთ, რა ჯაფად დამიჯდა ეს. მგრინა, ჩემს თანამემამულეთ არასოდეს გამოხე-ატავთ ჩემდამი ასეთი ღრმა სიმპათია და დიდი ნდობა, როგორიც იმ საღამოს. მხოლოდ ამ ნდობის წყალობით ავირიდეთ უთუოდ მოსალოდნელი საფრთხე, რაშიც მრავალი მონაცემით დარწმუ-ნებული ვიყავი. მაგრამ მაინც კარგა ხანს მიბღვერდნენ ჩემი თპო-ნენტები, ახლა ინტერნაციონალის იდეის უფრო პირწავარდნილი პროცესის წები რომ იყვნენ, ვიდრე ისინი, ვინც თორმეტი წლის წინა შიშობდა, ჩვენს ორგანიზაციის „ქართველთა საზოგადოება“ დარქმეოდა.

სათათბირში სიციალისტურ პლატფორმაზე რუსეთ-საქართვ-ლოს ერთიანობის უდიდესი დადასტურება ტყუილუბრალოდ არ შევუპირისპირე ამ მცირე საზოგადოებრივი მასშტაბის შემთხვე-ვის. ორივე თანაბარი დამაჯერებლობით სურათებს განსახილველ მეორე ვითარებას, სადამდეც საქართველო მიიყვანა თავისი ახალი მოქალაქეობრიობის პირობებში, ზემოთ რომ მოვხაზეთ; მიიყვანა თვიციალური რუსეთის მიმართ გაუცხოებამდე და რევოლუციურ რუსეთთან დაახლოებამდე. ჩემ მიერ აღწერილი მეორე ფაქტი იმასც გვაფიქრებინებს, რომ ყველაზე გულმანურვალე ქართველი სიციალ-

ისტი სიციალისტური „მრწამსის“ მთავარ შემს – ინტერნაციო-ნალ – მოიაზრებდა მხოლოდ მისთვის უსასხლოლდ ჟირფას... ნაციონალიზმთან მისტიკურ ერთიანობაში, სხვაგვარად ვერც წარ-მოედგინა. ამასთან დაკავშირებით გაგიხსნოთ 1917 წელი: როგორც კი მოხდა სიციალისტურ გადატრიალება, რუსული სათათბიროს სიციალისტურ პარტიითა ქართველმა ბელადებმა მაშინვე დატოვეს. საბჭოების თავმჯდომარეთა პოსტები, მინისტრთა პორტფელები, სარულიად რუსეთის ბედთა გამგებლობა და დაბრუნდნენ საქართველოში; ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ დადასტური, როგორ პარმონიული და მისტიკურად იყო შერწყმული ქართველის სულში სამშობლოსაღმი უსაზღვრო სიყვარული მსფლიო მოვფლო მოქალაქეობის იდეასთან – უდიდესი პოეტის ცონების:

„და როს ხალხგი შულლს დაივიწყებენ,
ერთ ოჯახად გაერთიანდებიან“ – თ –

განხორციელება ქართველი სიციალისტებისთვისაც ხომ ნიაღა-სანატრელი იყო. სამშობლოსადმი სიყვარული სამშობლო ქვეყნი-საფვს საუკუნევინი ბრძოლებით იყო ნასაზრდოები, მის ფესვ-ბზე ამოზრდილი და ნალლიავგბი; სამშობლო კი ქართველები-სთვის ყოველთვის იყო იმ დიადი მთელის ნაშილი, რომელსაც კულ-ტურული კაცობრიობა ეწოდება.

ზოგად ხაზებში განვიხილეთ საქართველოს დახლოება-გაერ-თანება ჩევოლუციურ რუსეთთან. გარდა ჩევოლუციურისა, ბოლო 60 წლის განმავლობაში, ჩვენი დაკვირვებით, საქართველო უფრო მეტად, სულ უფრო და უფრო მჭიდროდ დაუსხლოვდა ვოლოუ-ტრ ჩემებს – ყველა სახის პროგრესულ საზოგადოებას და ლიბე-რალურ პარტიებს.

ქართველები რიცხობრივად რუსეთის სახელმწიფოს ქვეშევ-დომთა დაახლოებით ერთ მეოთხმოცედ შეაღვენდნენ, ხოლო საერ-თო-რუსული ინტელიგენციის საზოგადოებრივ, სალიტერატურო, სამეცნიერო, სამხატვრო, პროფესიულ თუ სხვა სფეროებში მოღ-ვაწე ქართველთა პროცენტულ შეფარდება ბეჭრად აღემატებოდა ყოფილი იმპერიის მთელი მოსახლეობის ერთ მეოთხმოცედს; ეს აღმატება კიდევ უფრო გაიზრდება, თუ ჩამოვლილ სფეროებს დავუმატებთ სახელმწიფო, სამოქალაქო თუ სამხედრო სამსახურ-

ში, ახალ სასამართლოებში, უმაღლეს, ზოგად და სპეციალურ სას-ტივლებლებში მოღვაწე ქართველებს, ასევე – თავად საქართველოსა და რუსეთის მრავალ ადგილას წოდებრივ თუ საზოგადოებრივ ქართველ წარმომადგენლებს, ანდა, ბოლოს – სოფლის მეურნეობასა თუ ქალაქის საწარმოებში კერძო საქმიანობით დაკავებულებს; რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებდნენ რუსეთის მთელ კულ-ტურულ და პროგრესულ ცხოვრებაში. დიდი მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ XIX საუკუნის დასაწყისიდან მრავალ მიზეზთა გამო და სულ სხვადასხვაგარ ფაქტორთა ზეგავლენით ცხოვრებამ მთლი-ანიდ ოპოზიციური ხასიათი მიიღო და ამ ცხოვრებამ ჩამოყალიბა ის, რაც რუსული საზოგადოებრიობა ეწოდებოდა და რაც ყოველ-თვის რუსული ხელისუფლების ანტითეზია იყო, ვითარცა ერობა ოპრიჩნიისათვის. ჩვენი თანადროული რევოლუციური დემოკრა-ტია რუსული საზოგადოებრივი, მაშასადამე, ნიადაგ ოპოზიციური, მოძრაობის შედეგია, დემოკრატიის ბელადები კი – ამ ანტითეზის სისხლი სისხლთაგანნი და ხორცი ხორცთაგანნი. მხოლოდ ამ ან-ტითეზის წყილობით შეიქმნა რუსეთში ატმოსფერო, ურომლისო-დაც წარმოუდგენელი იქნებოდა ნამდვილი რევოლუციური მიღ-წევები და დიალი გარდატეხა ხალხის სულიერ ცხოვრებაში. ტერ-ორისტულ საშინელებამდე მისულ რევოლუციურ დაბაბულობასა და ევოლუციურ პროგრესს შორის არსებული უთანხმოება ყველ-გან და ყოველთვის იყო მიზეზი რეაქციებისა, რევოლუციებს რომ მოსდევდა; ამ უთანხმოებიდან ყოველთვის ამოიზრდებოდა ხოლმე ვინე მესამე, ქმნიდა რაღაც მესამეს – ზოგჯერ იხალს, ზოგჯერ განმეორებითს, მაგრამ ყოველთვის დამღუბველს როგორც რევ-ლუციური, ისე ევოლუციური მიღწევებისა. ხოლო შემდეგ, თეთრი მოზრის ზღაპრისა არ იყოს, საზოგადოებრივი მოძრაობა კვლავ აშჩიდებდა ახალ რევოლუციას, ხოლო რევოლუცია ისევ უთანხ-მოებაში მოდიოდა საზოგადოებრიობასთან; და კვლავ და კვლავ და ისევ და ისევ ერთი და იგივე... 93-ე წელმა შეხერამუნა 89-ე წელი, ნაპოლეონ I-მა კი – ორივე. 48-ე წელმა შესანსლა 30-ე, ნაპოლეონ III-მ კი – ორივე. ყველა საუკუნისა და ყველა ხალხის ასობით რევოლუცია აღასტურებს ამ უთანხმოებას და მის როლს მოვლენების შემდგომ განვითარებაში; ვაი რომ, აქამდე ვერც ერთ-მა რევოლუციამ ვერ მოახერხა ამ უთანხმოების აცილება. შასების

დალლილობა ისეთივე ბუნებრივი კანონზომიერებაა, როგორიც პროგრესული აზრის ნიადაგ დაუღლელობა. სიკეთის მოტანა იმ რევოლუციის შეუძლია, რომელიც თავის ბელადთა გენიით მასებ-ის ენერგიის წარმართავს უმაღლეს კულტურასთან მჭიდრო ერ-თანინბისავენ, კულტურასთან, რომელიც ამ სტიქიურ ძალის სა-ზოგადოებრივი გონის სულიერ ძალასთან დაკავშირებს.

რუსულ საზოგადოებასთან დაახლოება საქართველოს საფრთხეს არ უქმნიდა, თავისი ნაციონალური ფიზიონომია დაეკარგა. პირი-ქო, მთელი XIX საუკუნის, განსაკუთრებით კი მისი მეორე ნახ-ევრის, რუსული საზოგადოება განმათავისუფლებელი იდეალებიდან პირველ პლაზე აუქნებდა ნაციონალური თავისუფლების იდეალს. საბერძნეთი, იტალია, ამერიკის შტატები, სინა, ბულგარეთი, სერ-ბია, ბურები, პოლონეთი, უცხო თუ რუსეთის შემადგენლობაში შესული ყველა ქვეყანა თავის განმათავისუფლებელ ბრძოლებში შესული ყველა ქვეყანა თავის განმათავისუფლებელ ბრძოლებში შესული გრძნობა რუსული პროგრესული აზრისა და რუსუ-ლისტულთვის გრძნობა შემურღილე სიმპათისა და მხარდაჭერის, სიტყვით საზოგადოების შემურღილე სიმპათისა და მხარდაჭერის, სიტყვით თუ საქმით თანადგომას. საზოგადოება ხშირად სახელმწიფო ხე-ლისუფლებასაც აიყოლიებდა ხოლმე. კარგია ეს თუ ცუდი, რუსუ-ლი საზოგადოების ეს თვისება თუ უპასუხებას საქათარ ინტერ-ებს, იგივე თვისება და შეხედულება თუ ახალიათებს სხვა ეროვნებებს – წინამდებარე სტატიის ამოცანისთვის უმნიშვნელოა. მაგრამ მნიშ-ვნელოვანია ის, რომ ეს მოვლენა უყველი ფაქტია და საქართვე-ლოს ძალუმიდ ეწევოდა რუსეთთან დასახლოებლიად. და არა მარ-ტო რუსული ლაბერალური უმრავლესობის წარმომადგენლები ამჟღვნებდნენ ამ თვისებას: ხშირად რომელიმე ჩამორჩენილი, დახასებული, ტლანქი პროფესიონალი გამარტუსებელი ვერ უძრუბ-დახასებული, და საზოგადოებრივი აზრის ზეწოლას და თუ, ვთქვათ, თელავში ამა თუ იმ სახელმწიფო ღრისძიებას ნერგავდ, ამავე ღრის, გულ-წრფელი აღტაცებით ხვდებოდა ივსტრიულ ჯარიბზე გარიბადიდის, გამარჯვებას და აღშეფოთებული იყო ინგლისის იმ პოლიტიკით, ირლანდიაში რომ ატარებდა.

გაშასადამე, მეორე ვითარება, საღამდეც მივიდა საქართველო რუსეთთან შეერთების 60 წლის შემდეგ, იყო შემდეგი: საქართველომ გადაიტანა ყოველივე, რაც კი რუსულ სახელმწიფოებრიობაში თავად რუსეთისთვისაც მძიმე იყო, ოღონდ უფრო სასტიკი და შეურაცხმუ-

ოფელი ფორმით, ხოლო ყოველივე, რაც ამ სახელმწიფოებრიობაში ნათელი და შევბის მომცემი იყო, საქართველომ განუზომლად მცირე რაოდენობითა და მეტად უღირსი სახით მიიღო, ანდა სულაც არ მიუღია. ამის შესაცნობად საქართველომ ხანგრძლივი, მძიმე და მჭარე გძმოდილების გზა გაიარა, ხოლო როცა შეიცნო, რუსულ მთავრობაზე გული აიყარა, მაგრამ სეპარატისტული მიღრევილებები არ გასჩენია; იგი დაუახლოვდა რუსულ პროგრესულ საზოგადოებას და ქართველი ახალგაზრდობის ძალიან მნიშვნელოვანი პროცენტი რუსული სოციალ-პოლიტიკური ბრძოლის აშკარა ჩევოლუციურ საქმიანობაში ჩაეხა.

აქ უნდა აღვნიშნოთ ჩევოლუციურ პარტიულ მუშაობაში ქართველების მონაწილეობის ერთი მეტად დამახასიათებელი ელეფტი: ცენტრალურ სახელმწიფო მოღვაწეთა მიმართ (თუ ისინი უშუალოდ საქართველოში არ მოქმედებდნენ) განხორციელებული ტერორისტული აქტების ფაქტიურ შემსრულებელთა შორის არ გვხვდება ქართველ რევოლუციონერთა შორის ასახელები. ამ ფაქტის შეფასებას არ ვაძირებ. იგი მხოლოდ იმიტომ მოვიყანე, რომ გვიჩვენებს ქართული ბუნების ინსტინქტურ, თანდაყოლილ სიძულვილს იმ ხერხებისადმი, რომელთაც ტერორისტული აქტის წარმატებით ჩატარებისას აუცილებლად იყენებენ. ქართველს ვერც უკიდურესი პარტიული სიმტკიცე თუ უკიდურესად მტკიცე პარტიულობა, ვერც ყველაზე მძაფრი პარტიული შემართება ვერ გადაახვევინებდა ვაჟაფური გზიდან, მას პირდაპირ უყვარს მტკრზე მისვლა და პირდაპირ გულში კვრა. და არც აზეფის ტიპის პროფესიონერი ჰყოლიათ ქართველებს.

3. ბოლოს, მესამე ვითარება, სადამდეც მივიდა საქართველო 70-იანი წლებისათვის, იყო ხალხის სრული, ყოველმხრივი გაყოტრება-გაბარტახება.

რა იყო საქართველოს გაყოტრება-გაჩანაგების მიზეზი? — ქართული ხასიათი, რუსული მმართველობა და სომხური კაბიტალი. თითოეულ ამ ფაქტორთან ცალ-ცალკე საქართველო შეძლებდა გამქლავებას, მაგრამ სამიერსთან ერთად — მას ძალ-ღონეს აღემატებოდა: ეს ფაქტორები ერთიმეორეს უწყობდა ხელს და 70-იანი წლების ბოლოს საქართველო უკვე საბოლოოდ დაიქცა.

ქართველის ხასიათი ჩამოყალიბდა საქართველოს მთელი ის-

ტორიის მანძილზე გაჩაღებული ბრძოლების ზეგავლენით: ნიადაგი იბრძოდა ქართველი და იბრძოდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყველა ფენინად. გაზვიალებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ომების დროს მთელი მამაკაცური საქართველო ისხამდა იარაღს, ყველა ვაჟაცი იარაღდებოდა. სხვათა შორის, ამ ფაქტის ერთ-ერთი დამადასტურებელია გასული საუკუნის ბოლომდე, კოველ შემთხვევაში, საუკუნის ნახევრამდე მანცც, შემორჩენილი ძალიან საგულისხმო მოვლენა: ქართველი გლეხი უმეტესწილად თავად არ მკიდა. მან არ იცოდა და მკაცრი საქართველოში პურს კი არ თიბავდნენ, მკიდნენ და საამისოდ უპირატესად დაქირავებულ შრომას იყენებდნენ: „კრო“ — თურქი და სპარსელი სომხობა — მკის დროს პარტიებად მოდიოდა და ქართულ მინდვრებში პურისა და ქერის მოსავალს იღებდა. ასეთი უცაური მოვლენა, რომ თავად შიწაომაქმედს არ აელოს თავისი ნათესი, მხოლოდ ისტორიულად ჩამოყალიბებული ჩვევით თუ აიხსნება: ე. ი. მკის დროს მამაკაცები ნამგალს კი არ იღებდნენ ხელში, არმედ თოფს ან ხმალს ყანის დასაცავად. თბილისის სამხრეთით, თურქეთისა და სპარსეთის მოსაზღვრეზოლში ქართველი გლეხი თავისი ისტორიის მანძილზე უბრალოდ ვერ ისწავლი და მკაცრი ამ ჩვევის გამო. ძნელია ამის ახსნა, თუმცა ეს მოვლენა, მრავალსაუკუნვანი საყოველთაობაშე განმარტინებული, საქართველოს ყველა კუთხეში არ ყოფილი გაფრცელებული. მუდმივი ომის პირობებში ქართველ ხალხს თავისებური დამოკიდებულება გამოიუშვა ფულადი და სხვა ნივთებით ღირებულებებისაღმიც, აგრეთვე — ჩვევა, ეცხოვრია ყოველი წუთით. ორივე ამ პირობამ თავისებური შედეგი გამოიღო: და უნებით თუ შევისწავლით ქართველს ბუნებას, მასში აღმოგაჩენთ უდავო მიღრეკილებას — თავი გასწიროს, სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდოს ამა თუ იმ ფასეულობისათვის. განვლილმა საუკუნეებმა მას ასწავლა, რომ ადამიანები სწორედ ამ ფასეულობათათვის იბრძვიან და იმოძენ და მისთვისაც სულ ერთი არ ყოფილა ფასეულობანი. ამასთან, იგივე საუკუნეებმა მას ასწავლა და მიაჩვია, რომ, რასაც სწრაფად დაიპყრობ, შეიძლება სწრაფადვე წაგართვან; მიაჩვია, უყუროს მას, როგორც რაღაც არმეყარს, როგორც იმის ნადავლს, როგორც შემთხვევითს, ქარის მოტანილს და ქარისავე წაღებულს, სწრაფად მოსასვლელსა და სწრაფადვე წარმაგალს,

სწრაფადვე წარმავალს, რომლის მისაღებად და შესანარჩუნებლად საჭიროა არა ხანგრძლივი, მუყაითი, ბეჭითი შრომა, მომტკირნეობა, გაფრთხილება, ანგარიშ-გარაული, არამედ ენერგიის გარკვეული აუეთქება. ახლაც ვამჩნევთ, რომ თავისი არსებობის შემდგომ, უფრო მშვიდობიან პერიოდში ქართველი ხალხი, მწარე გამოცდილებამ ფულის ყადრი რომ ასწავლა, ამჯობინებს, მის საშორენელად ყველაზე რისკიან საშუალებებს მიმდრთოს, ვიდრე, ვთქვათ, ვაჭრობას. იგი პირდაპირ მიღრეკილია, დაარსოს ისეთი საწარმოები, რომელთა დიდი უმრავლესობა გასაკოტრებლადაა განშირული. ქართველი ბანკირი ისეთივე იშვიათობაა ბუნებაში, როგორც სამფეხა მამალი და, თუ კვლივ ორნითოლოგიურ პარალელს გავავლებთ, იგი თავის საწარმოებში მოგვარნებს იმ ვარებს, აგურის კიკოზე საჯუთარი მკერდიდან ბუმბულსა და ფრთხებს რომ იგლექს. ფორტუნის იშმედიდან ბუმბულსა და ფრთხებს რომ იგლექს. ფორტუნის იშვიათი ახირებით ქართველმა კიდეც რომ მოახერხოს და ასე თუ ისე გახდეს კაპიტალისტი, მისი კაპიტალისტობა დიდხანს ვერ გასტანს: იგი ისტორიულად მოკლებულია მოპოვებული ლირებულების შესანარჩუნებლად საჭირო უნარ-ჩვევებსა და მოხერხებულობას. გარდა ამისა, გამულებულმა ომმა მას ასწავლა, აწმურ მომავალზე მეტიად დაეფასებინა, დასწავებოდა და გამოყენებინა ის წამი, მის ხელთ რომ იყო და არ ეფიქრა, თუ რას მოუტანდა მომდევნო წამი. არა მეონია, რომ ეს თვისებები ვინმექ აუცილებელ პირობად მიიჩნიოს ხალხის გასამდიდრებლად.

სხვაგვარად შეტრიალდა სომხების ბედი. ამ ხალხს, ასევე მამაცასა და მეომარს, საქართველოს თანაბრად სისხლით რომ დაიცვა თავისი რწმენა და ხანგრძლივ შეინარჩუნა იგი თვით დამოუკიდებელი არსებობის შეწყვეტის დროსაც კი, ძალა აღარ შესწევდა ტერიტორიული დამოუკიდებლობის დასაცავდა: მისი აღმოსავლეთი ნაწილი და დაპყრობილი ჰქონდა სპარსეთს, დასავილი ძალიან დაპყრობილი ჰქონდა საბარსეთს, დასავლეთი - თურქეთს და ორივე ნაწილს ისე მკვიდრად ადგა მონობის უღელი, რომ პოლიტიკურად მთლიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის ნიშანწყალიც კი არ ჩანდა ბოლო დრომდებითობის სასომხეთის სპარსული და თურქული ოლქები, XIX საუკუნეში სასომხეთის სპარსული და თურქული ოლქები, რუსეთის მიერ მოებით წართმეული, რუსეთის მფლობელობაში გადავიდა, როგორც სპარსეთისა და თურქეთის პროვინციები და არა როგორც ერთი მთლიანობა, თუნდაც დაჭრული და გაბარ-

ტახებული, არა როგორც თავისთავადი სახელმწიფო, არამედ როგორც სხვა მონარქიების შემაღებელი ნაწილები; მოკლედ, სომხეთს დაემართა ის, რაც შეიძლებოდა დამართოდა საქართველოს 1918 წელს: 117 წლის რუსული პროვინცია - საქართველო - გერმანიის ან თურქეთის ხელში ჩავირდნილიყო. მაგრამ ამ მსგავს მოვლენებს შორის მაინც დიდი სხვაობა იქნებოდა, ისეთივე დიდი, როგორიც XIX საუკუნის რუსეთსა (მიუხედავად მისი მმართველობის უარყოფითი მხარეებისა) და წინა საუკუნეების სპარსეთს ან თურქეთს შორის. ბედითა და ჯვრით ჩვენი დაა - ბედკრული სომხეთი სრულ მონაბაში ჰყავდათ დამპყრობლებს, რომელნიც დამორჩილებულ ხალხთან დამოკიდებულებაში იდამიანურობის არავთარ კანონს არ ცნობდნენ. სომები ხალხისთვის ერთადერთი ხსნა იყო, თავად გამოემუშავებინა აუტანელ პირობებთან შეგუების უნარი: ღია, პირდაპირი ბრძოლა ნამდვილი სიგიჟე იქნებოდა და შესაძლოა ერის სრული განაღვურება მოპყოლოდა. და დაიწყო სომხების საუკუნოვანი ემიგრაცია. რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, გამოეშურნენ მეზობელი საქართველოსკენ, რომელთანაც სომხეთი წარსულსა და აწმყოში ათასი ძაფით იყო დაკავშირებული. საქართველოში ჰარბად შემოსული სომხები ქართველი მოსახლეობის ყველა ფენაში უხვად შეერივნენ და მთლიანი გააჭრეს ეს ფენები, ისე ღრმად, რომ თავადიც ბევრ რამეში მიემსგავსნენ მკვიდრ მოსახლეობას და ასიმილირება განიცადეს თავის სახისართან; ამავე ღროს, ქართულ საზოგადოებაში მათ გარკვეული და მნიშვნელოვანი აღილი დაიჭირეს. დღესაც ვხედავთ, რომ წმინდა ქართველი სომხები, უმთავრესად თბილისში ჩასახლებული, მოუხედავდ ქართველებთან უთანხმოებისა ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში და საქმაოდ მკაფიოდ გამოხატული შეურიგებელი ნაციონალიზმისა, უფრო ახლოს არიან ქართულ აღათ-წესებთან, ვიდრე ერევნელი და ახალციხელი სომხების ზე-ჩვეულებებთან. ხოლო გლეხთა შორის, ხშირად ქართველი და სომები გლეხი ერთმანეთის მომიჯნავენიც არიან, არასოდეს ყოფილა მტრობის მსაგაფსი რამ: ისინი თანაბრად გრძნობენ თაგა ერთნაირ ეკანომიკურ და საყოფაცხოვრებო პირობებში.

მაგრამ მაინც, საქართველოში მოსვლა და ქართველ მოსახლეობაში ასეთი შერევა სამარისა არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ სომხებს

უარი ეთქვათ იმ ნაციონალურ თვისებებზე და თვითშენარჩუნების იმ ხერხებზე, რომლებიც მათ სპარსულ-თურქული მრავალსაუკუნოვანი დამონების პირობებში გამოუმუშავდათ. გარდა ამისა, სომხებს შეგნებული ჰქონდათ, რომ საქართველოზე შავთა და სულთანთა გამუდმებული თავდასხმებისას თუ ისინა თავის თანამემამულეთა — მთელი მათი ხალხის — ამ მძრავანებელთა წინააღმდეგ აშკარად და პირდაპირ ჩაებმებოდნენ ბრძოლაში, ეს სომხებას ცუდად შემოუტრიალდებოდა. საქართველოში დამკვიდრებული სომხები თუმცა კარგად შეეჩივინენ ქართულ ყოფას და მათი პირალი ინტერესები წმინდა ქართულ ინტერესებს მჭიდროდ დაუკავშირდა, მაინც ეს კვეყნა არ იყო მათი მშობლიური მიწა, მათი რეალური სიმღიდრე კი თავისი პორტატიულობის გამო გაცილებით ადგილი დასაცავი იყო მტერთა შემოსევებისას, ვიღრე ძირეული მოსახლეობის სახანავ-სათესი, ვენახები და პირუტყვათა წოგები. დაბოლოს, საუკუნეთა მანძილზე მონობაში ყოვნამ და ულმობელ მბრძანებელთა წინაშე მუდმივმა ძრშოლამ ამ ხალხში, ბუნებრივია, ძალაუნებურად შეასუსტა თანდაყოლილი სიმამაცე-ყველა ამ მიზეზთა გამო ქართველმა სომხებმა თანდათან დაიკავეს ის ცარიელი ადგილი საქართველოში, რასაც ვაჭრთა ფენა ერქვა და რაც ასე მორგებული იყო მათ ნაციონალურ ხასიათზე... ვაჭართა საქმიანობას ამ მეომარ ქვეყანაში ბევრი სარგებელთან ერთად ბევრი უსიმონებაც ახლდა თან. სარგებელი განმარტების გარეშეც გასავაბია; ფულის დაგროვების გარდა, ვაჭრობამ სომხებს განუვითარა ყველა ის თვისება, რაც აუცილებელია ნაშოვნი სიმღიდრის შესანახად და შესანარჩუნებლად (ქართველებს კი, რაკი ქონების დაგროვებას დიდად არ მისდევდნენ, ეს თვისებები მათ არც გამოუმუშავებიათ). სომხები იყვნენ ანგარიშიანები, წინდახედულნა, მომჭირნენი და მოხერხებულნი. რაც შეეხება ვაჭრობის თანმხლებ უსიმონებას, იგი ყოველთვისაა იმ ქვეყნებში, სადაც ჭარბობს საომარი ელემენტი და მას სახელმწიფო ცხოვრებაში გაბატონებული როლი უკავია. გავიხსენოთ, რუსეთის უახლოეს წარსულში როგორი იყო საზოგადოებრივი აზრი იმ ოფიციერზე, ვაჭრის ქალიშვილზე რომ ქორწინდებოდა. მაგრამ სომხურმა ემიგრაციულმა ელემენტმა წარმოაჩინა თავისი ქველი თავადაზნაურული, დიდგვაროვანი ქლასიც, საქარო, სამხედრო, აღმინისტრაციული თუ ფეოდალურ-უფლებრივი მდგომარეობით საქართველოს უმაღლეს

კლასებს რომ ერწყმოდა, და ამავე დროს კავშირი არ გაუწყვეტია თავის ერთან, კავშირი — სისხლისშიერი, რელიგიური და ქონებრივი. ეს დაწინაურებული სომხობა პატრიონობდა საქართველოში მცხოვრებ თავის თანამემამულეთ, იყო მათი ქომაგი და მოსარჩევ საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებებში და ხელისუფალთა წინაშე.

ასეთი ურთიერთდამოკიდებულება იყო საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სომხებსა და ქართველებს შორის, საქართველო ჩუსეთს რომ შეუერთდა. ეს ურთიერთდამოკიდებულება არც მერე შეცვლილა, განსაკუთრებით, XIX საუკუნის დასაწყისიდან 60-70 წლების განმავლობაში, როცა მთიელებთან, სპარსეთთან და თურქეთთან განუწყვეტელი ომები წარმოებდა და საქართველოში შემოღებულ წოდებრივი დაყოფა დამტკიცდა რუსული კანონითა და სახელმწიფო წეს-წყობით. ყველაფერი უცვლელად დარჩა: თავადაზნაურობა და გლეხობა თითქმის მთლიანად ქართველებისგან შედგებოდა, ვაჭართა და საამქრო ხელოსნების ფენა — თითქმის მთლიანად სომხებისაგან. რა თქმა უნდა, საქართველოს ვაჭართა და ხელოსანთა ფენებში ქართველობაც იყო, მაგრამ მისი პროცენტული რაოდენობა არ აჭარბებდა თავადაზნაურთა და გლეხთა ფენებში შემცველ სომებს თავადაზნაურთა და გლეხთა პროცენტულ რაოდენობას. უნდა შევნიშნოთ, რომ იქ საუბარია, კერძოდ, იმ ტერიტორიაზე, რომელიც წელს დამოუკიდებლობის აქტით საკუთრივ ქართულ ტერიტორიად იქნა ცნობილი: გასული საუკუნის ყველდღურობაში საქართველოდ მოიხსენიებდნენ მთლიანად ამიერკავკასიას, რომლის უმაღლესი აღმინისტრაციული ცენტრი და დედაქალაქი იყო თბილისი.

XIX საუკუნის 70-იანი წლებისათვის გმოირკვა, რა ეკონომიკური შედეგები მოუტანა ამ წყობამ ქალაქებისა და რიონის, მტკვრის, არაგისის, ალაზნის ხეობებში გაშენებული სოფლების წმინდა ქართულ მოსახლეობას. შედეგები უკიდურესად საგალავო იყო ორივე ფენისათვის — თავადაზნაურობისთვისაც და გლეხობის-თვისაც, ე. ი., ასებითად, მთლიანად ყველა ქართველისათვის. თუ როგორ აისახა ქართულ მიწათმფლობელობაზე ორი მთავარი რეფორმა — გლეხთა განთავისუფლებისა და სამიჯნაო-სასამართლო, შევცადე ზემოთ მომეხაზა და, ვთიქრობ, საკითხის უფრო დაწერილებითი განხილვა და მეცნიერულად დასაბუთებული გამოგვლევა

კი არ გააფერმკრთალებს, არამედ უფრო გაამძაფრებს და დაიღასტურებს იმ ზოგად დასკვნებს, სადამდეც ესკიზური დასურითებით მივედით ამ ერთი ამოსუნთქვით დაწერილ სტატიაში. შევხოთ გაკოტრება-გაპარტაცების სხვა მიზეზებსაც იგივე პუნქტირული მონახაზის ფორმით.

თუ შევძლებ, მოვნიშნო საქართველოს მიერ განვლილი მთავარი ეტაპები ჩუსეთან შეერთების მომენტიდან დამოუკიდებლობის გამოცხადების მომენტამდე, ჩემი ამოცანა შესრულებული იქნება. ამის შემოწმება-შეფასება იმ ადამიანების საქმეა, ვინც მოვლენათა შუაგულში ტრიალებდა და თავად განიცადა მომხდარი ამბები. მაგრამ სწორედ შუაგულიდან გარკვეული დაშორება, ჩემი პროფესიული მოღვაწეობის ხასიათიდან გამომდინარე, მოვლენათა განზოგადების ჩვევა, შეუნელებელი, ღრმა ინტერესი ყოველი მსხვილმანისა თუ წვრილმანისადმი, საქართველომ 60-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე რომ გადაიტანა, ჩემი სისხლისმიერი კავშირი და ბაგშვინისა თუ ყრმბისდროინდელი დაუციწყარი პირადი შთაბეჭდილებისაგან წარმომდგარი თანაგრძნობა და ინტერესი — ყოველივე ეს (მდგომარეობის განზრახული კონტურულობით გაშუქებისას) წინამდებარე ნარკვევს შეძლებისდაგვარად მისცემს დამაჯერებლობასა და მრავალმხრივობას, თუნდაც დაზარულ სურათს პანორამული ხასიათი ჰქონდეს a' vol d'oiseau,¹ როგორც ზემოთაც განვიცხადე. ვიკი, რომ ყაზბეგის წიაღისეულის დასამუშავებლად ანდა მის მწვერვალზე ფუნიკულიორების გასაყვანად საჭიროა ადგილობრივი შემოქმედებითი ძალების მოკრება და დაბაბული შრომა. პატივი და დიდება მათ, ვინც ასევე გიგანტურად იშრომა და უშუალო მონაშილეობა მიიღო საქართველოს ცხოვრების განვითარებაში. მე წილად არ მრჩებია ასეთი დიდი ბედნიერება, მაგრამ სწორად და ფართოდ რომ ჩანატო იგივე ყაზბეგის მოხაზულობა, არა თუ უკეთესი, არამედ აუცილებელია, მისგან ისეთ მანძილზე დადგე, საიდანაც მთლიანად ქედი და მისი ნაწილები ურთიერთდაკავშირებულ ჯაჭვში გამოჩნდება და არა მარტო მთის რომელიმე ცალკეული ნაწილი. აი, ამ მანძილზე დგომა მხვდა წილად; ამან შემმატა გამბედაობა, ხელი მომეკიდა წინამდებარე ნაშრომი-

1. a' vol d'oiseau (ფრანგ.) — სწორხაზოვნად.

საფიის მაშინ, როდესაც მსოფლიოს სასწორზე, მის პინებზე შეგებულია ევროპის ყველა ხალხის ინტერესები და წყდება საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხიც, საკითხი — საქართველოს საქართველოდ დარჩენისა.

ამ მრისხანე და გადამწყვეტ მომენტში ობიექტურობა, ჩემი აზრით, ის აუცილებელი და ძირითადი თვისებაა, რომელმაც შესაძლოა ნაშრომს ჩაიმე ღირებულება მიანიჭოს. ამიტომაც დამახასიათებელი მოვლენების არა მარტო განხილვის, არამედ შერჩევის დროსაც, განსაკუთრებით კი დასკვნების გამოტანისას, ვცდილობ, არც არავინ დავიცვა და არც არავინ დავიდანაშაულო, ვინც უნდა იყოს იგი. მე ვცდილობ, მხოლოდ დაგაჯვაფო მოვლენები და გავაშუქო მათი შედეგები. ხოლო საკითხს თუ არამდექტურად მიკუდგებოდი, მთელი ჩემი ნაშრომი მიიღებდა პარტიულობის ანდა, რაც უფრო ცუდია — მოჰარბებული პატრიოტიზმის ელფერს. არ დავუშვებ, რომელიმე ეს ელფერი დაკრავდეს ნაშრომს, რადგან, ჩემი ღრმა აწმენით, სულ მცირე მიკერძოებაც კი წინამდებარე ნარკვეს ყოველგვარ ფასს დაუკარგავს. ისიც კმარა, რომ შედარებითი ესკიზურობა სტატიის დონეს ძლიერ აქვეითებს.

მე ქართველებისთვის არ ვწერ: ჩემმა თვისტომმა ყველაფერი, რასაც ვამბობ, ჩემსავით და ჩემზე უკეთაც იცის. მაგრამ ჩემ მიერ მოყვანილი ცნობების კრების, ალბათ, დაეხმარება საზოგადოებრივ აზრს, გერკვეს, რაც მთლიანობაში გამორჩა ანდა უფრო ახლობელი ყოფითი ინტერესებით დაიჩრდილა. ჩვენ უფლება გვაქს, მსოფლიოსგან უფრო მეტი ყურადღება მოვითხოვთ; ეს სამართლიანი მოთხოვნა დამყარებულია ჩვენს ისტორიულ როლზე, ხალხურ თვისებზე და იმ საწყისებსა და საფუძვლებზე, უკვე რომ მოვხაზე და კვლავ მივაყრობ დაკირვებული მკითხველის ყურადღებას. გთხოვთ, მაპატიოთ ეს გადახვევა, თუმცა იგი აუცილებელი იყო სწორედ აქ, რადგან, წინამდებარე განყოფილება რომ დავამთავრო, უნდა შევხეო სომეხ-ქართველთა ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების მეტაც მწვავე და მტკიცნეულ საკითხს, რამდენადც იგი — ეს ურთიერთდამოკიდებულება — მოცემულ ეპოქაში რუსული მთავრობის გავლენით, მასთან კავშირში ვითარდებოდა. აქ მეაცრი იბიექტურობის დაცვა უმნიშვნელოვანესი პირობაა: იგი აუცილებელია.

XIX საუკუნის 70-იანი წლებისათვის, როცა სოციალიზმი მთელ მსოფლიოში უკვე ახალი გაბატონებული ჩელიგია გახდა და ეკონომიკური ინტერესებით ყველა დანარჩენა მიმდინარეობა დაჩრდილა, საქართველოში ერთმანეთს შეეჯახა ორი ეროვნება: ერთი — მატერიალურად უზრუნველყოფილი და მის მოსაპოვებლად, სიმღლიდრის დასაგროვებლად და შესანარჩუნებლად აუცილებელი თვისებებით დაჯილდოებული, ხოლო მეორე — საბოლოოდ განადგურებული და ირა მარტო ამ თვისებებს, არამედ მათი გამომუშავების შესაძლებლობასაც მოკლებული იმ გარემოში, რომელშიც მას არსებობა უხდებოდა. პირველი იყო მოსული საქართველოს მიწაზე, მეორე — ძირეული და ოდითგან თავისი მიწის ბატონ-პატრიონი, მისი ყოველი მტკაველისათვის დაუცხრომელი მებრძოლიც.

ქართველობა, განუჩრებულად წოდებისა, მხოლოდ ამ მიწით იჩენდა თავს. გარდა ამისა, თავადაზნაურთა მნიშვნელოვანი მასა, როგორც მთელ რუსეთში, იდგა სამხედრო ან სამოქალაქო სამსახურში, მაგრამ სამსახური მოითხოვდა ქალაქიდ ყოფნას, ქალაქში ცხოვრება კი მთლიანად ნთქავდა მიღებულ გასამრჩელოს და მოსამსახურე პირი აუცილებლად ვალებში ვარდებოდა. დაბალ და საშუალო მოსამსახურე კლის ხომ დიდი რუსეთის მთელ ტერიტორიაზე არსად და არასაროს პეტონია სამყოფი ხელფასი. ეს ფაქტი დასაბუთებას არ საჭიროებს, ეს აქსიომა ყველასათვის ცნობილია. ვერავინ უარყოფს, რომ ყოველდღიური ცხოვრების რთული და ეშმაკური მექანიზმის წყალობით მეტ-ნაკლებად მთელ მსოფლიოში და, განსაკუთრებით, რუსეთში დაწესებულია შემდეგი: რამდენიც უნდა გამოიმუშაოს ადამიანმა, როგორი კოლოსალური შრომაც უნდა მოღიოდეს მის წილ — ყოფა-ცხოვრების ყველა პირობა, ყველა პროდუქტის ფასი, არსებობის მთელი ყაიდა ადამიანისაგან გამოცეხვავდა და უკანასკნელ მარცვლამდე აყრევინებდა ყველაფერს, რასაც იღებდა თავის სამუშაოში, ვალებით ივსებოდა, ძალა ელეოდა და წელში წყდებოდა. ხორციელდებოდა ასეთი მიმოქცევა: თავითა თუ ხელებით, ნერვებითა თუ კუნთებით, კალმითა თუ გუთნით მომუშავე ადამიანი ქმნის საერთო მოხმარებისათვის აუცილებლად საჭირო ნივთიერ და არანიგთიერ ღირებულებებს და რაკი ეს ღირებულებანი საერთო მოხმარებისაა, გარკვეული წილი მას და მის ოჯახსაც ეკუთვნის; მაგრამ გამომუშავებული ღირებულე-

ბანი ხვდება იმათ განკარგულებაში, ვისაც ან ძალაუფლება აქვს, ან ფული, რადგან სულიერ თუ მატერიალურ ღირებულებებზე დაბარჯული შრომა ყოველთვის ან მათ მიერ დაკისრებული ბეგარაა, ანდა მათი ფულით ნაზღაურდება. შშრომელმა, სულ ერთია — ინტელექტუალურად შრომობს იგი თუ ფიზიკურად, ხელისუფალთ ან მეწარმეს უკანვე რომ გამოართვას თავისივე გამომუშავებული თუ მოპოვებული ღირებულებებიდან მისთვის საცხოვრებლად აუცილებელი რამ, გაცილებით მეტი გაცვლითი ნიშნები უნდა დაბარჯოს, ვინემ თავის შრომაში მიიღო. ეს ულმობელი მანქანა ისე ეშმაკურად და მარჯვედაა მოწყობილი, რომ ადამიანი მას თავს ვერ დააღწევს. ამ მანქანის ბორბლებქვეშ მოქცეული იყო ყველა შშრომელი — ექიმი, მოსამართლე, ჩინოვნიკი, მემამულე, გლეხი თუ ღლიური მუშა, ასევე — საერთო საცხოვრისის მოთხოვნებიც, გაუსაძლისობამდე მისული პირობებიც იმ წრისა თუ კლასისა, რომელთაც ეკუთვნოდენ, ამ წრეში გამომუშავებული, მომხმარებლის არსებას ორგანულად შეზრდილი ჩვევებიც, მისთვის მეტიც საჭირო, აუცილებელი დანახარჯებიც სამუშაო პირობების გამო. ყოველთვის ღირებულებათა მწარმოებელი მუშაკი ამავე ღროს წარმოადგენს მომხმარებელს, თავისი მძინა ქმნის ე.წ. ბაზარს, ყოველთვის შეუძავალთა და მეწარმეთათვის რომ მუშაობს, ცალკეული პიროვნებები იქნებიან ისინი, კლასები თუ სახელმწიფო. და რუს თავადაზნაურთა, მსახურეულთა, მუშათა და გლეხთა ფენებში ეს მანქანა მთელი სიმძლავრით მუშაობდა: ვალებისა და საგადასახადო ნარჩენების გადაუხდელობის გამო მიწები, ტყეები, ყოველგვარი სასოფლო საგარეული თუ ქალაქის ქონება საბოლოოდ გადადიოდა ხაზინის ანდა ვაჭართა და ფინანსისტთა ხელში და ეს ჩვეულებრივი, ჭყაყველთაო მოვლენა იყო. მაგრამ მანცაც ამ გაჭირვებიდან თავის დაღწევა და შრომითი ენერგიისთვის გზის მოძებნა ერთი ენით გაერთიანებულ რუსულ თვალუწვდენელ სივრცეში უფრო აღვილი იყო, ვიღრე, ვთქვათ, საქართველოში. ქართველებს გაცილებით ნაკლები შესაძლებლობა პეტონდათ თავისი შრომითი ენერგიის გამოსაყნებლად და თუ რუსული მმართველობა მათ მიმართ თავის საერთო ეკონომიკურ პოლიტიკას არ აუარესებდა, არც რამეთი ეხმარებოდა თავის ქვეშეგრდომებს ამ გამოუვალ მდგომარეობაში: როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მთელ საქართველოს ტანხავდა სამ-

იჯნაო წესები და გაჭიანურებული სამიჯნაო სასამართლო პროცესები. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სამიჯნაო და სასამართლო ძალა შემაღებელობა არათუ თვისებრივია, არამედ, რაც მთავარია, რაოდენობითაც ვერ აქმაყოფილებდა სასამართლოს მოთხოვნებს, ვერ უზრუნველყოფდა მიწათმფლობელობისა და მიწათ-სარგებლობის ყველა ფორმისა და სახის მოწესრიგებას, სულ მცირედიდაც ვერ შევლოდა სილატაკეს. რუსულ სამსახურში მყოფ ქართველთა 99%-ს არ შეეძლო თავი დაელწია, იმ სამხედრო თუ სამოქალქო თანამდებობრივი არეალიდან, რომლის წევრებსაც მათხოვრულ ხელფასს უხდიდნენ. ამიერკავკასიის ბუნებრივი კოლო-სალური სიძლიდიდრენი ხელუხლებელი ჩჩებოდა, ეს კი ქვეყანას არა მარტო ზღვა ფულს, არამედ სამუშაო ძალთა გამოყენებისა და ხელფასის მიღების შესაძლებლობასაც აკარგვინებდა. ტყიანი, ვე-ნახიანი საუკეთესო მიწები, მინდორ-სავარგულები ამა თუ იმ მიზეზ-ით გადადიოდა ხაზინის, მეტწილად კი საუფლისტულო მამულე-ბის შემადგენლობაში (ბორჯომი, სამუშარანო, კახეთის აღვილ-მამუ-ლები). საქართველოსადმი მელიორაციული დამბარება რუსეთის მხრიდან ნულის ტოლი იყო: ამ დროს კი საქართველოს მიწების სამი მეოთხედი მხოლოდ იმიტომ იყო უნაყოფო, რომ არ ირწყვებოდა; ხოლო მის გორაკიან ზედაპირს, რომ არაფერი ვთქვათ დიდ სიმაღლეებზე, თუ გამოიყენებოდნენ და მელიორაციას – ამ პირველ-ხარისხოვანი მნიშვნელობის საქმეს – ოდნავ ყურადღებას თუ მი-აქცვდნენ, საქართველოს ველ-მინდვრები ყველა ნაყოფიერი გახდებოდა. წიაღისეულსა და ზედაპირს ისევ პრიმიტიულად ამუშავებდნენ; უფრო რთულ ფორმებში მათი დამუშავება არც უცდიათ. თბილისის გოგირდოვან წყლებს რვა თუ ათი წლის წინათ მიეცა სამკურნალო კვალიფიკაცია სახელმწიფოს ღონებზე, მაგრამ ჯერ კიდევ 1916 წელს, უკანასკნელად რომ ვიყავი თბილისში, განთქმული თბილისური აბანოები მხოლოდ სახეულის განსაბანად თუ იხ-მარებოდა, როგორც ეს ჩემს ბავშვობაში, 60-იან წლებში, იყო. შევი ზღვის სანაბირო ზოლი იქცა სამთავრობო სპეციალის წყაროდ, ხოლო ზღვისპირ შემოჯარულ მთებზე აურაცხელი სიმ-დიდრის ასწლოვანი ტჟევები ხელუხლებლად დგას და ელის დამუშავებას უთუოდ იმ ინგლისელებისაგან, ვის შემოსვლისაც თავად კ. მ. ო-ს დეიდებთან მისი გაყოფის საქმე უნდა გადაეწყვიტა. რუსეთის

მმართველობას სამხედრო საჭიროებისათვის გაჰყავდა განსაკვი-ფრებელი გზატკეცილები და ერთი ბილიკიც კი არ გაუკალავს იმ-ისთვის, რომ სოფელს საქალაქო ცენტრებთან დაკავშირება გაად-ვილებოდა.

საქართველოს საადგილმამულო საქმეთა უფრო ფართო სახ-ელმწიფო ღონისძიებებზე გადასვლისას შეუძლებელია, არ მივუთი-თოთ მსხვილი მიწათმფლობელობის იმავე მფარველობით სისტემაზე, რომლის მიხედვითაც რუსეთის მთელ სივრცეში გადატრიალებამ-დე დიდი ლატიფუნდიები განსაკუთრებული მზრუნველობის ობიექტიად უნდა ყოფილიყო მიჩნეულ, ხოლო თუნდაც სამართლიან საფასურად იძულებით გასხვისების კადეტური პროგრამა – გან-საკუთრებული დაბაბულობის რევოლუციურ აქტად. თუმცა ლატ-იტუნდიები ბოლოს და ბოლოს ამა თუ იმ მიზეზით უფრო ხშირად ან ხაზინაში, ან საუფლისტულო მამულებში გადადიოდა, ანდა, რაკი დიდგვაროვანი ქართველებისთვის მისი ფასი მიუწვდომელი იყო, უფრო ფულიანთა ხელში ვარდებოდა, რაც ქართველი ერის ქონებრივ მდგომარეობისათვის კიდევ ერთი მნიუსი იყო. ლატი-ფუნდისათვის ღამახასიათებელია, ერთ მფლობელს ეკუთვნოდეს; ეს თვისება გავლენას აზდენს მიწათმფლობელი კლასის უმიწოდა-ზე, ამცირებს მის ფართს და სულაც ქართული მიწის სათვალა-ვიდან გადის. საქართველოში, რამდენადაც ვიცით, არც ერთი უმაღ-ლესი ტექნიკური, სპეციალური თუ სასოფლო-სამეურნეო სასწავ-ლებელი არ დაარსებულა. საშუალო და დაბალი განათლების საქმე კერძო ინიციატივას იყო მინებებული; საბედნიეროდ, ამ სფერ-ობიც, ისევე როგორც ეროვნული მშენებლობის სხვა დარგებში, ქართველთა შორის მოიქმენენ ენერგიული და პირდაპირ თავგადა-კლული მოღვაწენი. აქ აუცილებლად უნდა დაგისახელოთ წინამ-ძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლა, დაარსებული სამ-შობლოს სიკურიტებით გულანთებული პიროვნების ილია წინამ-ძღვრივის¹ მიერ. ამ სკოლისათვის მან გაიღო მთელი თავისი მოქადა-ლებული ქონება, ასევე მოკრძალებული დანაზოგი მომრიგებელი მოსამართლის 200-მანეთიანი ყოველთვიური ხელფასიდან და მის

1. ილია წინამძღვრიშვილი. წინამძღვრი რუსიფიცირებული გვარია ისევე, როგორც სუმბათოვი.

განვითარებას თავისი ხანგრძლივი ნაყოფიერი ცხოვრება მიუძღვნა.

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ასეთ პირობებში სოციალისტურ მოძღვრებას საქართველოში ისე შეხვდებოდნენ, როგორც წვიმას გვალვაში. და მართლიც, მთელი მისი მოსახლეობა ერთიანად გაიუღინთა სოციალიზმით. ტელე წყობის საერთო-სახელმწიფო-ბრივმა პოლიტიკამ ამ ზეშოლას ვერც ერთი ბუღერი ვერ დაუბირისაბრია, მხოლოდ მქაცრი და, როგორც იღმოჩნდა, უნაყოფუ დამსჭელი ზომები გამოიყენა სოციალიზმის აღეპტთა მიმართ. ბოლოს, უულს, როგორც გაცვლით ნიშნებს, საქართველოს მიმოქცევაში გასასაკუთრებული, იმაზე გაცილებით მეტი ზომიერებით უშვებდნენ, ვიდრე რუსეთში, სადაც ფულის ნიშნები საერთოდ უმნიშვნელო რაოდენობით მიმოიქცეოდა.

ნათევამიდან ჩანს, რომ საქართველო მთავრობის ეკონომიკურ, სახელმწიფო-სამეცნიერო პოლიტიკის სტეროშიც არანაელებ და-ჩაგრული იყო, ვიდრე ყველა სხვა საქმიანობის სფეროში: ჰქონდა არსებობის საგანგებო, არასახაბიელო პირობები, გვოგრაფიული დაშორებული იყო რუსული ცხოვრებისგან, ჩაირგული იყო ამიერკავკასიის სხვა ტომთა შორის და ქართული ენის მეტად მცირე ტერიტორიაზე გავრცელების გამო მხოლოდ პატარა სივრცში შეეძლო თავისი სახალხო ძალების გამოყენება. ყოვლივე ეს ქართველებს ყოველმხრივ ბოჭავდა და უფრო ცუდ მდგომარეობაში აყენებდა, ვინემ ნებისმიერ აღამიანს ძირეულ რუსეთში; მთავრობა, რომ მთავრობის პოლიტიკა საადგილმამულო ქონების საკითხში მთელ მოსახლეობას უმიშოდ დატოვებას უქადად, რაც ფაქტობრივად ოცაუკუნოვან ბრძოლებში აღმოსავლეთ მონარქთა ხელიდან სიმწრით გამოხსნილი მშობლიური ტერიტორიის დაკარგვის ნიშნავდა. ეს პოლიტიკა საქართველოს ისეთ პოზიციაში აყენებდა, რომ არა თუ მიწისთვის, არამედ თავისი არსებობის მინიმალური უზრუნველყოფისთვისაც კი არ ჰქონდა ბრძოლის თავი; ერთნაირად უძლური იყო ყველა – განურჩევლად წოდებისა, კლასისა და განათლებისა, პროფესიისა თუ საქმიანობის ფორმისა. საქართველოში იფიციერი თუ მოსამართლე, მემამულე თუ გლეხი, მუშა თუ კანცელარიის მწერალი, ვინც უნდა ყოფილიყო, თუკი ქართველი იყო, უსათუოდ ვალებში იყო ჩაფლული. ვალების გამო იძულებული იყო, გაეყიდა ბალი, დაეგირავებინა სახლი; აღმასრულებელი

ფურცლის ძალით მიპქონდათ მისი ქონება, იგი იხდიდა საპირგიშ-ტეხლ ჯარიმას, ჰყიდდა თავისი ღვინოს, პურს, თივის, საქონელს და მუდმივ, ქრონიკულ უფლობას განიცდიდა. და ეს ძნელი მისახვედრი არ არის: მათ მამა-პაპათა მთელ თაობებს უბრალოდ არ ეცალათ, დრო არ ჰქონდათ, როგორმე მოეწყოთ თავისი მატერიალური ცხოვრება. ისინი სულ ბრძოლებში იყვნენ, სომხები კი ვაჭრობდნენ და ქონდას იხვეჭდნენ. რუსეთმა საქართველოს თავისი ძლიერი ხელი რომ გამოუწოდა დასახმარებლად, მაშინ საქართველოშე კბილებალესილ მეზობლებთან გაბმული ომები თუმცა არ შეწყვეტილა, მაგრამ ისეთი ხასიათი კი მიიღო, რომ ქართველობის ნაწილს შეეძლო ღრო დაეთმო მიწისთვის, მაგრამ მხოლოდ ნაწილის, რაღაც საქართველო პირველი 70 წელი მაინც რუსეთის სამხედრო ბაზა იყო და ინერციით თვის ყველაზე აქტიურ ძალებს ისევ ომებს ახმარდა. და კვლავ და კვლავ ამ ათწლეულებში საქართველოს ვაჭართა კლასი, აღრინდებურად მთლიანად სომხებისაგან შემდგარი, მღიღრდებოდა; აფართოებდა თავისი სამრეწველო საწარმოებს, სრულყოფდა კომეტციულ ხერხებსა და შესაძლებლობებს; ქართველი თაგდაზნაურობა კი მსახურობდა და სამხედრო სამსახურიდან ნაჭრილობები და ხეიბარი, სამოქალაქოდან კი ჰემორიით დააგადებული საცოდავ პენსიაზე გადიოდა. ხოლო გლეხები, რა სამუშაოზეც უნდა ყოფილიყვნენ, პენსიას არ ღებულობდნენ. რა სამუშაოზეც უნდა ყოფილიყვნენ, პენსიას არ ღებულობდნენ. მიწა საქართველოში, როგორც მთელ რუსეთში, რეფორმადე ცუდად მუშავდებოდა, მაგრამ რაღაც შემთხვევას მაინც იძლეოდა მუქთი შრომისა და შედარებითი გარეგანი უსაფრთხოების წყმუქთი მიწის მიმდინარებული მოსავლით ვერც მიწის მფლობელი და ალობით. მაგრამ მიღებული მოსავლით ვერც მიწის მფლობელი და ვერც მიწის მუშავი სიმძინეებს ვერ დაგროვებდა. საგლეხო რეფორმის შემდეგ თავადაზნაურთა, ასევე გლეხთა ერთი ციცქა – მიკროსკოპიული სიდიდის – მიწის დასამუშავებლად საჭირო განდა ფული, თანაც საქმაოდ დიდი თანხა. ცხოვრება ვითარდებოდა, სულ ახალ-ახალ მოთხოვნებს აყენებდა, სახსრები კი არ ჩანდა და არც მეურნეობის გასაუმჯობესებლად საჭირო საბრუნავი კაბიტალი იყო დაგროვილი. თუ აზნაურს სჭირდებოდა, ვთქვათ, ათასი ან ათასი მანეთი, ის აგირავებდა მამულს საზოგადოებრივი შზრუნველობის უწყებაში პირველი საგირავნოთი, ხოლო კაპიტალისტ სომხეთან (საქართველოში კაპიტალისტები მხოლოდ სომხები იყვნენ)

— მეორე და მესამე საგირავნოთი. გლეხს რომ რამდენიმე თუმანი ან მანეთი დასჭირებოდა, რაკი მისთვის უშეება არ არსებობდა და არც ნალელის დაგირავების უფლება ჰქონდა, იმულებული იყო, თავისი მცირე არასანადლო ვენახი იმავე კაპიტალისტთან უკვე პირველი საგირავნოთი დაგირავებინა ანდა ნასყიდობის წიგნით „სამუდამოდ ჩაეხარებინა“. ყოვლივე ეს ეპოქის სამართლებრივ სულისკეთებას გამოხატავდა, ყოველივე ეს, იხილი მოდური სიტყვა რომ კინგარო — კონტაქტები, ბუნებრივად გამომდინარეობდა ცხოვრების პირობებიდან, და უკიდურესი უსამართლობა იქნებოდა, თუ ამას ერთი ერის მიერ მეორე ერის ექსპლოატაციას მივაწერდით: ეს მხოლოდ ისტორიულად ჩამოყალიბებული მართლგაებისა და ურთიერთობის საკებით ლოგიკური შედეგი იყო. ასეთივე სურათს ვხედავთ დასავლეთ ევროპაში, როდესაც ფეოდალებიცა და სოფლის მთელი მოსახლეობაც ეკონომიკურად დამკიდებული აღმოჩნდა ქალაქზე. ეს პარალელი შესაფერისადაა შერჩეული, რადგან XIX საუკუნის საქართველოს ბეგრი რომ საერთო ჰქონდა XIV და XV საუკუნეების ევროპასთან. მაგრამ პარალელი არ არის მთავარი, მთავარია თავისთავად არსებული ვალები, პროცენტები, საპირგამტებლო ჯარიმები, ბეგარები, პირდაპირი და, განსაკუთრებით, არაპირდაპირი გადასახადები, წლიდან წლამდე მთიდან დაგორებული თოვლის გუნდასავით რომ იზრდებოდა და ბოლოს ჩამოშვავებული ზეავივით დღიდ მამულებსაც და პატარა ბაღებსაც ერთიანად ფარავდა. ფულის ფასი საშინლად იყო აწეული, სოფლის პროდუქტები კი წარმოუდგენლად იაფი იყო (ახლა დიამეტრულად საწინააღმდეგო მდგომარეობას ვხედავთ). ყოველივე, თბილისში მცხოვრებ ბატონსაც რომ სჭირდებოდა და, ვთქვათ, კიქეთელ გლეხსაც, თუ სოფლის პროდუქტი არ იყო, გაცილებით ძვირი ჯდებოდა: მაგალითად, მიწათმთლობელს 50 ცხვარი უნდა გაეყიდა, რომ ერთი სერთუეანი კოსტიუმი შეეძნა, ანდა 500 ბოთლი ღვინო — რომ ვაუშვილისთვის გიმნაზიაში „სწავლის უფლება“ ნახევარი წლით მოეპოვებინა; მიწათმთლებელს, გლეხს, კი მთელი შემოსავლით — 15 ცხვარით, სამი დღიური სახნავი (1 1/3 დესეტინა) მიწის მოსავლით და კიდევ, ვთქვათ, 3 კოკა მუვე ღვინით ჯახი უნდა გამოეკვება, სხვადასხვა ბეგარა და მძიმე გადასახადი, ასევე ვალის ბარათების მიხედვით პროცენტები და საპირგამტებ-

ლო ჯარიმები გაესტუმრებინა. ყოველივე ამის შემდეგ, საეჭვოა, რაიმე დარჩენოდეს ან მიწათმთლობელს, ან მიწათმოქმედს „მელიორაციის“ მოსაგვარებლად. რუსეთისთვისაც ნაცნობი ეს სურათი გართულებული იყო აღილობრივი პირობებით. იქნებან უთუთ გამოსავალი კაპიტალისტი იყო, ხოლო ამ გამოსავლის გამოსავალი — გამოუვალი ფულადი კაბალა; კაბალიდან გამოსვლა, თავის დაღწევა კი მხოლოდ ფულიანთა ხელში მიწის გადასვლით, შეიძლებოდა. ნათელია, გამსესხებლისა და მსესხებლის ეროვნება არაფერ შეაშია იმ გარდაუვალ შეხელა-შემოხლაში, რაც აუცილებლად უნდა წარმოქმნილიყო გამოსავალთა ამ წყებაში.

იოლია, საქართველოს გაკოტრება-გაპარტაქება ქართველთა დიდხუნებოვნების გადაებრალოთ. მაგრამ რომ არა ქართველების ასეთი ნატურა, ჩამოყალიბებული საბრძოლო წარსულის ზეგავლენით, აზიურ მონარქთა საზღვრები, ისედაც XVIII საუკუნის დასასრულს შავ ზღვაზე ბათუმის, ხოლო კისპის ზღვაზე დერბენის ჩრდილოეთი ღრმად შეჭრილი, ერთადერთ მებრძოლ და დაუმორჩილებელ ქვეყანას — საქართველოს — რკინის მარტუხებად რომ შემორტყმოდა, მკვიდრ გალავნად მიადგებოდა ზედ კავკასიის ქედს და მის ისლომურ ელემენტს ერთ მრისხანე მთლიანობად შეეწყოდა. არა მგონია, (რუსეთის მიერ ნახევარ საუკუნეზე მეტი ბრძოლით დაბყრობილი) კავკასიის მთები დაცუმულიყო, თუ ზურგიდან არ მიაღებოდნენ საქართველოს გავლით, ხოლო ამ გავლის დროს თუ ქართვლის ტომი თავის ტერიტორიას ნახევარი მოსახლეობის გაწვეტის ფასად არ დაიცავდა; ასევე საეჭვოა, შესაძლებელი გამხდარიყო საბარსეთისა და თურქეთის სომხური ოლქების მეტროპოლიებისგან მოწყვეტა, ე. ი. მათთვის ახლანდელი თურქული სომხეთის ხედრის თავიდან აცილება, საქართველოში რომ რუსული სამხედრო ბაზები არ ყოფილიყო; ასევე ვფიქრობ, შეუძლებელია, ევროპული რუსეთის მთელი სამხრეთი მუდმივ საფრთხეში არ ყოფილიყო თურქეთისა და მთიანი კავკასიის, საბარსეთისა და აღმოსავლეთ სახანოების ერთი რწმენითა და ფანატიზმით შეკრული და გაერთიანებული ძალების მხრიდან. დიახ, საქართველოს დარაჯის სამსახურის გაწევა შეეძლო სწორედ რომ იმ თვისებათა წყალობით, რის გამოც მას, თთქოს სხვა-უბედურებანი არ ქმაროდა, ეკონომიკური დამონებისა და ტერიტორიის დაკარგვის სა-

ფრთხეც შეექმნა, თანაც მაშინ, როცა გაჩნდა მკრთალი იმედი
დასვენებისა და შშვიდობიანი განვითარებისა, თავის – პოლიტიკური
თუ არა, იურიდიული თვალსაზრისით მაინც – თავის მიწაზე.

მართალია დიდი ისტორიკოსი, როცა ამბობს: „დარიგის სამსახ-
ური ყველგან უმაღურია და ოოლად ივიწყებენ“. ამას შეიძლება
დავშეატოთ: და ხშირად დანაშაულადაცა მიჩნეული.

მაგრამ დავუშვათ, ქართველი კაცის ეს თვისებები, კაპიტალის-
ტურ სამყაროში წარმატების მისაღწევად ასე გამოუსადევარი, ერთი
ხელის მოსმით სასწაულებრივად შეცვლილიყო და გასული საუკუ-
ნის 60-იანი და 70-იანი წლებისათვის ქართველ ხალხს კომერციუ-
ლი გაჭირვების დაძლევის შემდეგ მოენდომებინა, თავისი ძალები
გაჭრობისაკენ, სამრეწველო მიმოქცევისკენ, საერთოდ – ფინან-
სური საქმიანობისაკენ წარმართა. როგორ უნდა შესღომოდა იგი
განზრისულ საქმეს, თუ ამ სარბიელზე უძლიერეს მეტოქესთან
საბოროლველად არ ექნებოდა მთავრი და ერთადერთი აღჭურვი-
ლობა – რაიმე კაპიტალი ანდა თუნდაც სულ მცირეოდენი კრე-
დიტი? იმ ღრმისათვის მთელი ფულადი სახსრები მკვიდრად იყო
თავმოყრილი სომხების ხელში – საქართველოს ვაჭართა და
მრეწველთა ერთადერთი ფენის ხელში და ქართველი კაცი მართ-
ლა უსისხლო, მაგრამ სისხლიანზე არანაკლებ დამღლებელი ბრძო-
ლის ახალ არენაზე გამოდიოდა მის ხელთ არსებული ერთადერთი
იარაღით – გავმიჯნავი, განუყოფელი, სადაც და ერთიანად ვალებში
დაგირავებული მიწებით, რომელთა შემოსავალსაც განსაზღვრავ-
და ძლევამოსილი ფული; სოფლის პროდუქტებს ისე მცირე ფასს
უწესებდნენ, რომ მათზე გაწეულ შრომასაც ვერ ანაზღაურებდა
და, რა თქმა უნდა, მიწის მფლობელს მიწის მინიმალურ ჩენტასაც
ვერ უფარავდა. რომ დავასახელოთ, 70-იანი წლების და შეიძლება
ბევრად უფრო გვიანდელი წლების საქართველოში მიწას რა ფასი
ჰქონდა, გაგივირდებათ, როგორ არ გამოჩნდა ვინმე მდიდარი,
თავიანი და ყოჩაღი ამერიკელი, რომ რამდენიმე მილიონი გადაეგ-
დო და ასე უბრალოდ შეესყიდა მთელი საქართველო, ის ხომ სულ
მალე მილიარდებს მიიღებდა! ამაში არავითარი რისკი არ იყო:
ქვეყანა მაღლიანი და ნაყოფიერი იყო. მთებით შემოსაზღვრულ
მხარეში კი სამუშაო ძალას მშობლიური კუთხის იქით სხვაგან
წასავლელი გზა არ ჰქონდა, ხოლო კანონიერი იურიდიული უფლე-

ბების დასაცავად ყველა გარანტიის იძლეოდა რუსული ხელისუ-
ფლება თუნდაც სამხედრო ძალით...

ბოლოს, ყოველგვარ ფანტასტიკურ ვარაუდს რომ თავი ვანებოთ
და ვეძებოთ რუსეთის ისეთი კუთხე, სადაც მიწათმოქმედებას ან
მემატულე, ან გლეხს გაემდიდრებინოს, გამონაკლისის გარდა, ვერ
ვიძოვით. მიწათმოქმედის შრომის ხარჯზე და მიწათმფლობელის
უფლებების გამოყენებით, ე.ი. ნატურალური პროდუქტების ხარ-
ჯზე ყოველთვის ყველანაირი ჭურის მესამე პირი მდიდრდებოდა.
სხვანაირად რომ ვთქვათ, მომბოვებელ ძალებს ყოველთვის გაბნი-
და დამმუშავებელი მრეწველობის ძალები, ხოლო მოძოვებულ
პროდუქტებს, პირველი ხელიდან იაფად შეძენილს, – სავაჭრო
დაწესებულებათათვის ჩაბარებული საქონელი და ფაბრიკებისათვის
განკუთვნილი მასალა. ასე იყო საქართველოშიც. კიდევ ერთხელ
ვიძოვორებ: ქართველთა და სომეხთა შორის გაჩაღებული შუღლი
მოცემულ პირობებში იყო მხოლოდ და მხოლოდ, ერთი მხრივ,
მიწის მუშაკთა და მიწის მფლობელთა, ხოლო, მეორე მხრივ, ვაჭრო-
ბისა და გადამამუშავებელი მრეწველობის წარმომაღენელთა –
ფინანსური ძალის ფაქტიურ მფლობელთა ინტერესების დაპირი-
სპირების გარდაუცალი შედეგი. განსაკუთრებულმა პირობებმა, ვა-
წრიო სიგრუში მჭიდრო სიახლოებები და ქართულ შეგნებასთან ის-
ტორიულად შეზრდილ უფლებებზე ფულის გამარჯვებამ სომხურ-
ქართულ წოდებრივ, უფრო სწორი იქნებოდა, გვეთქვა, კლასობ-
რივ შუღლს თითქმის ტომობრივი მტრობის სიძლიერე მიანიჭა.
მტრობა კი ხან ჩაღდებოდა, ხანაც ნელდებოდა – თუ მერყეობით,
თუ რომელიმე მხარის დამობით. მაგრამ კიდევ ერთმა მომენტმა
გადააჭირბა ყველაფერს.

თურქეთისა და სპარსეთის სომხური ოლქები რომ გამდიდრდა
და რუსეთს შეუერთდა, სომხებში ბუნებრივიად აღიძრა წყურვილი
სრული პოლიტიკური აღორძინებისა, მაგრამ, სამწუხაროდ, თავის-
თავად კეთილშობილური ეს სწრაფვა მოასწავებდა საქართველოს
ძველისძველი, უხსოვარდროინდელი საზღვრების ზომაგადასულ
ხელყოფას. თანართან ფულადმა უპირატესობამ სომხურ ელემენტს
საქართველოში არა მარტო ფულადი, არამედ ტერიტორიული
უპირატესობაც მიანიჭა. დიდადი ქართული მიწა გადავიდა მის
ხელში უკვე მითითებული, სრულიად კანონიერი გზით – თუ ამას

საყოველთაოდ (გარდა ჩუსეთის ჩრდილოეთ კომუნებისა) არსებული სამართლის თვალსაზრისით შევხედავთ. მაგრამ ზემოთ აღწერილი პირობები, რომელშიც ეს კანონიერება გატარდა, არ შეიძლება ნორმალურად მივიჩინოთ სამართლებრივი საწყისების ზედმიწევნითი სიმკაცრით ვანსახორციელებლად. ამავე გზით თბილისის სახლების 11/12 სომხების ხელში აღმოჩნდა. რაც სოფლადაც და ქალაქადაც სომხები უფრო მეტ ტერიტორიას ფლობდნენ, ვიდრე ქართველები, ამან სომხებს გაბატონებული მდგომარეობა შეუძინა პოლიტიკური გავლენის, საზოგადოებრივი მმართველობისა თუ ადგილობრივი ცხოვრების ყველა სფეროში, რაც ასე საზიანო იყო ქვეყნისთვის და მოხდა გარდაუვალი შეტაკებაც. რუსულმა მანიველირებელმა სახელისუფლებო პოლიტიკამ 80-იან, 90-იან და უფრო გვიახდელ წლებში ეს განხეთქილება უფრო გაამძაფრა: უმაღლესი ცენტრალური და ადგილობრივი სამთავრობო ხელისუფლება ერთი ხელით მკვეთრად და მტკიცედ უხშობდა სომხებს პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენის წარილს (სეპარატისტული შეჯერილობისა რომ იყო მათ რევოლუციურ პარტიებში, ხოლო უფრო კომპრომისული – დანარჩენ მასაში), მეორე ხელით კი ყოველნაირად მხარს უჭერდა მათ, როგორც უმდიდრეს ფენას, როგორც ამიერკავკასიაში ქონებრივი უბირატესობისა და გავლენის მქონე კლასს. ანალიგიური პოლიტიკა ტარდებოდა ქართველების მიმართაც: თუ ერთი ხელით უმოწყვალოდ ითრგუნებოდა ქართველების სრულიად არასეპარატისტული, მაგრამ მკვეთრად გამოხატული ნაციონალური მისტრაფება – შეენარჩუნებინათ ქართული თვითმყოფადობის ყველა მხარე და საქართველოს მთელი მოსახლეობა გადაერჩინათ გამაუპიროვნებელი რუსთვიცაციისგან, ასეთივე ძალით ითრგუნებოდა რევოლუციური ელემენტების მუშაობა სოციალისტური მოძრვების გასავრცელებლად, მეორე ხელით მფარველობდა და თავისებურად ეალერსებოდა ყველა ფენისა და კლასის გაღატაკებულ ქართველობას, უყურებდა მათ, როგორც უთული სიმძლოე ელემენტს, თუ საქმე ომზე მიღებოდა, და, საერთოდ, მიაჩნდა ისნი გულწრფელ აღამიანებად, თვითოპონტონერობის ღრმასც რომ არ კარგავდნენ თავის გულლიანბას, და თავისი სამშობლოს სიყვარულის გამო არ შეეძლოთ სხვა ქვეყნის სიძულვილი, მით უმეტეს რუსეთისა, თუმცა ბევრი სიმწარე იწვნიეს მისი წესებისა და სახელმწიფო მუშტრისაგან.

უსაფუძვლოდ მიმაჩნია რუსეთსა და საქართველოში საქმაოდ გავრცელებული აზრი, თითქოს ქართულ-სომხური შეხლა-შემოხულა აღგილობრივ ხელისუფალთა ბრილი ყოფილიყოს. თუმცა არ გამოვრიცხავ ამ სისტემის მიერ ასეთ შეხლა-შემოხლათა გამოყენებას აღმინისტრაციული გართულებების ცალკეულ მომენტში, ანდა რაიმე პირადი ხასიათის მოსაზრებით. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ყოფილი რუსული პოლიტიკისათვის ყოველთვის უცხოიყო ხელქვეითი ეროვნებების ერთმანეთზე გადაკიდება: ძველი ხელისუფლება, ჯერ ერთი, ყველაზე მეტად აფასებდა წესრიგი და ყველა ღონეს ხმარობდა, ყველაფერში წესრიგი და ყველარებინა, მეორეც, საქმაო ძალა შესწევდა და სწორადაც აფასებდა თავის ძალებს, რომ წვრილ-წვრილი ეროვნებანი ცალ-ცალკე თუ ერთად თავისი ნებისათვის დაემორჩილებინა და არ გამოყენებინა მისი პრესტიუსათვის შეურაცხმყოფელი ხერხები, რათა საკუთარი თავი ისეთ ძალად არ წარმოეჩინა, წაშველებას რომ მოითხოვს და, აქედან გამომდინარე, დავაღებული და მისი მაღლიერი ყოფილიყო.

საქმე უფრო მარტივიადა: ღარიბი თავიდაზნაურიბა და კიდევ უფრო ღარიბი გლეხობა რუსეთს თავადაც საქმაოდ ჰყავდა, გაცილებით იმაზე მეტი, ვიდრე ამ გაჭირვებიდან მათი გამოყვანის საშუალება და შესაძლებლობა გააჩნდა. განსაკუთრებით როული იყო გაჭირვების დაძლევა საერთო კონომიკური უწესრიგობის ღრის, სახელმწიფო მეურნეობის საკრძიგამო სახით წარმართვის ფონზე და ყოველივე მისი გამო, რამაც რუსეთი უმდიდრესი ქვეყნიდან თანაბათან უღარიბეს, მუდმივ ვალებში ჩაფლულ სახელმწიფოდ აქცია. ამასობაში კი ფინანსისტი – ბანკირი იქნებოდა იგი, ვაჭარი თუ ფაბრიკანტი – ვინ და რა ეროვნების წარმომადგენელიც უნდა ყოფილიყო, რუსეთში, ისევე როგორც ყველგან, არა თუ სახელმწიფოსგან საჭიროებდა ფულად მხარდაჭერას, არამედ თავად იყო სახელმწიფოს მთავარი კრედიტორი, ვითარცა სახელმწიფოს ყოველგარ გალდებულებათა დიდი უმრავლესობის მცვლობელი, და ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო პრევალირებული ძალა და მდგრადი მარების ბატონ-პატრიონი ხდებოდა. შეუძლებელი იყო ხელისუფლებას ამისთვის ანგარიში არ გაეწია რუსეთში და საქართველოშიც. მაგრამ რუსეთში, რაც უნდა იყოს, თავადაზნაურიბა წარმოაღენდა თავად მმართველ გაბატონებულ ელემენტს, ხოლო

გლეხობა — თავისი ჭარბი მასით საერთო-სახელმწიფო, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო და ყოველგვარ ქალაქურ საქმიანობაში ჩაბმული, — დაქვემდებარებულ ელემენტს. ასეთი საერთო იმპერიული ნიშანდობლიობა ქართველებს არ ჰქონდათ. გეოგრაფიული მდებარეობისა და ადგილობრივი მდგომარეობის, ენობრივი ბარიერისა და ყოფითი პირობების გამო, ერთი სიტყვით, ყოველივე იმის გამო, რაზედაც დაწვრილებით ითქვა ამ სტატიაში და რაც ხელს უშლიდა ქართველი ხალხის სრულ ასიმილაციას დიდი რუსული მიწის მთელ მოსახლეობასთან. მაშასდამე, აქაც, ამ შემთხვევაშიც, ქართველი მიწათმოქმედი და მიწათმფლობელი კლასები — ორივე ერთნაირ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ გაცილებით უარესი მდგომარეობა იყო სამთავრობო ეკონომიკური დახმარებისა თუ სხვა თვალსაზრისით, ვიდრე რუსეთში. და თუ ფულს, ანდაზის მიხედვით, სუნი არა აქვს, მაშინ მათ მფლობელებს, შეიძლება ითქვას, არა აქვთ ეროვნება. სომხები საქართველოში ქართველებზე უკეთ და ლალად ცხოვრობდნენ, მაგრამ არა იმიტომ, რომ ისინი, როგორც ერი, მთავრობის ფავორიტები იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ მდიდარი ყველგან და ყოველთვის ნაკლებ დახმარებას, ყურადღებასა და მზრუნველობას მოითხოვს, ვიდრე ღარიბი.

რაც უნდა იყოს, ხელისუფლება არ ცდილობდა და კიდევ რომ ეცადა, ვერ შეძლებდა, მიწა მათი მფლობელებისა და დამმუშავებლებისათვის შეენარჩუნებინა, ე.ი. შეეჩერებინა მათი გადასვლა ქონებრივად მოძმლავრებულთა ხელში; მას ამ პაროცესის შენელებაც კი არ შეეძლო.

ხოლო საქართველოში ეს საკითხი უფრო სასტიკად იდგა, ვიდრე რუსეთში: რუსეთში მიწა, მფლობელს თუ გამოიცვლიდა, უმრავლეს შემთხვევაში რუსი კაცის ხელში გადადიოდა. ამ ყიდვა-გაყიდვას თვალყურს ადევნებდა მთავრობა და მიწის შესყიდვისას დიდ დაბრკოლებებს უქმნიდა არა მარტო სხვა აღმსარებლობისა და ეროვნების წარმომადგენელთ, არამედ სხვა წოდებს პირებსაც, თუ გარიგება ხდებოდა მიწის წოდებრივი ბანკის მეშვეობით. ქართული მიწათმფლობელობა კი არ სარგებლობდა ასეთი ზრუნვითა და მფარველობით. მიწის დაფარვებით კი ქართველი ხომ ასე ფირად მოპოვებულ თავის მიწა-წყალს — სამშობლოს კარგავდა! ქართუ-

ლი მიწა ქართველი ხალხისთვის მხოლოდ ნივთიერი ლირებულება არ იყო, იგი მთელი წარსულის სიმბოლოს და მთელი მომავლის საყრდენს წარმოადგენდა. ვფიქრობ, ოცი საუკუნის განმავლობაში ქართული მიწისთვის დაღვრილი სისხლი რომ შეგვეგროვებინა, დიდხანს გვეყოფოდა მისი უწყლო ველების სარწყავად. ეს მიწა იყო ქართველი ხალხის ყველა იმედისა და ყველა სასოების საყრდენი ეროვნული სახის შესანარჩუნებლად. ქართველი თავის პატარა შემოზღუდულ კუთხეს რომ გასცდეს და სხვაგან წავიდეს, სიცრცეში გაფანტვისა და დაქაქსვის საშიშროება შეექმნება; მისი ბუნებისათვის უცხაო თვისება — გახდეს ფელახი — მონა, მუშა საქონელი თავის მიწაზე, როგორებიც საქაოდ იყვნენ ყოფილ ეგვატელთა შორის. მის რელიგის არ ახლდა ის განსაკუთრებულობა და განკურძობებულობა, რაც სარწმუნოებას ძალად აქცევს, ისეთ უნარად, ერთ მოლიანობად რომ შეკრა ებრაელი ხალხი, თუმცა იგი მთელი დედამიწის ზურგზეა გაბნეული. არც მის კულტურას აქვს ისეთი მსოფლიო მნიშვნელობა, როგორიც ბერძნულს, ფელახთა ხველრისაგან რომ ისნა ბერძენი ხალხი და ანტიკური ელადა. თუ არა, ეროვნული საბერძნეთი მაინც აღადგინა. ნათელია, ქართველისათვის მიწის დაეკრავა არა მარტო ხორციელი, არამედ სულიერი სიკვდილის ტოლფასია. ამიტომ, თუკი საქებით გასაგებია, რომ სომხები, ცულადი ქონების სრულუფლებაან, კანონიერ მფლობელს, რომელსაც თავისი შრომის, უნარის, ფხიანობის და სხვა თვისებათა წყალობით ხელში ძლიერი ბერკეტი — ოქრო აღმოაჩნდა, სრული საფუძვლი აქვს, უნდოდეს მოპოვებულის შენარჩუნება და თავისი ტერიტორიის დაცვა, უცხოელ ხელისუფალთაგან მისი განთავისუფლება, ასევე გასაგები უნდა იყოს, რომ ქართველი, იმავე პატრიოტული გრძნობით ანთებული, არასოდეს დაუშვებს, ქართველი ხალხი აღიგავს პირისაგან მიწისა თქროს ძალით; ამ ძლიერ ბერკეტს არ მიანიჭებს ისეთ დიდ უფლებას და ისევე აღუდება წინ, როგორც აღუდგა დამპურობელთა მანვილსა და ასიმილატორთა ბოლოიტიკას. ქართველმა ხალხმა დაამტკიცა, რომ არა მარტო ფიზიკური ძალით შეეძლია იმის დაცვა, როსი დაცვაც მას მიაჩნდა უცილობლად; ისლამური შემოტევის წინაღმდეგ გამოყენებული ბრძოლის ხერხები სრულიად განსხვავდება იმ კულტურული ბრძოლის ხერხებისაგან, უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობა-

ში რომ მიმდინარეობს და ზევით ზოგად კულტურებში რომ ჭარ-მოვაღინეთ. ახლა კი ვნახავთ, როგორ შეებრძოლა იგი მშვიდობი-ან, თუ შეიძლება ითქვას, ოქროს მპყრობელს ანუ ოქროთი მპყრო-ბელს – ამ ბრძოლაში მან მხოლოდ სოციალურ-რევოლუციური ძალა კი არ გამოიყენა, არამედ გამოიყენა გარეგანი და შინაგანი პირობები (გარეგანი, ე. ი. ჩაც მასზე არ იყო დამოკიდებული, პირობები: კაპიტალის, ფართო და იაფი კრედიტის ნაკლებობა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გონივრული და ქმედითი სახელ-მწიფო დახმარების უქმარობა, დიდი დავალიანება, მიწის საკით-ხებში გაურკვევლობა, სამიჯნაო საქმების მოუწესრიგებლობა და ა. შ.; შინაგანი, ე. ი. ჩაც მასზე იყო დამოკიდებული, პირობები: ისტორიულად გამომუშავებული ჩვევები, ნაციონალური ხასიათის თავისებურებანი, არასაქმაო მომზადება ნაკლებად ცნობილ ფინან-სურ სფეროში სამოლგაწეოდ და ა. შ.) და, მიუხედავად კველაფ-რისა, შეძლო იმავე იარაღით ესარგებლა, რომელიც მისკენ იყო მოღერებული: მართალია, შემოტანილი საქონლით ვაჭრობა კვლავ სომეხთა ხელში ჩებოდა, მაგრამ ქართულ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მთავარი პროდუქტით – ღვინით – ვაჭრობას ამი-ერკავასიასა და მთელ რუსეთში თვით ქართველი მემამულები ანდა მებაღე-მფლობელთა კოოპერატივები განაგებდნენ. საქარ-თველოში დაარსებულმა სასოფლო-სამეურნეო ფერმებმა გაზირ-და სასოფლო პროდუქტების ფასი. გაუმჯობესდა ღვინის დაყენების ხერხები. კუსტარულად თუ არაკუსტარულად გაჰყავთ სარწ-ყავი არხები, დიდდება სარწყავი მიწების ფართობი, განუწყვეტლივ ინერგება მნიშვნელოვნი გაუმჯობესებანი მეტყევეობასა და ტყის მოწყობის საქმეში. მთელი სასოფლო-სამეურნეო სამუშაო დაძაბ-ულიდაა მიმართული მიწის შემოსავლიანობის გასაზრდელად. იქ-ნება სათავადაზნაურო მიწების ბანკი, რომელიც ქართული მიწათ-მფლობელობის საქმეს წოდების განუჩერევლად ემსახურებოდა და მთელ შემოსავალს მარტოლენ კულტურულ მიზნებს ახმარდა. უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში მთლად შეიცვალა ცხოვრების მთელი ყაიდა. უწინდელი მფლანგველობა იცვლება მო-მჭირნეობით, მთელი ყოფა სულ უფრო და უფრო დემოკრატიულ ხასიათს იღებს, თუმცა არ კარგავს ტელ ქართულ საყოფაცხოვრე-ბო ნიშან-თვისებებს. მთელი დანაზოგი ხმარდება შვილების სწავ-

ლა-განათლების რუსეთსა და საზღვარგარეთ, რომ შემდგომ იქ შექნილი ცოდნა უთუოდ ადგილობრივი კულტურის ამა თუ იმ დარგის განვითარებას მოხმარდეს. იქმნება კომპანიები ქვეყნის ბუნე-ბრივ სიმდიდრეთა დასამუშავებლად. ვაჭართა ფენაში სულ უფრო და უფრო იზრდება ქართული ელემენტის პროცენტული შემად-გნელობა. ერთი სიტყვით, შეუბოვარი ბრძოლა ქართული კულ-ტურის განსავითარებლად ხდება ქართული ცხოვრების mot d'ordre,¹ მთელ საქართველოში იგრძნობა საქმიანი განწყობილება, ნახევარზე მეტი ხალხის ენერგია მიმართულია ქვეყნის საქეთილდღეოდ, ეკონომიკური პირობების ყოველმხრივ გასაუმჯობესებლად. ქართუ-ლი საქმიანი ცხოვრების ცენტრი – სათავადაზნაურო ბანკი – ქალა-ქის მთავარ ნაწილში აღმართული დიდი ღირებულების შენობა (1890-იან წლებში ძევლი სომხური საკუთრების, აღწრუნის ყო-ფილი ქარვასლის მფლობელი) რადიკალურად გადაკეთდა და მას-ში მთავავდა მთელი რიგი ქართული კულტურული და სავაჭრო დაწესებულებები. ხოლო 1916 წელს ბანკი უკვე ამთავრებდა საქართველოს საქმიანი სამუშაოსთვის განკუთვნილ თვის ახალ სასახლეს შევის ნაცვლის სასახლის მახლობლად. იქმნება ქართული საწარმოები ჩრდილოეთ სპარსეთის მდიდარი მიწების დასამუშავებლად. ქართული ენერგია ბრწყინვალე გამოხატულე-ბას პოლონბს წმინდა საქმიან დაძაბულ მუშაობაში, ისეთსავე ბრწყინველებს, როგორიც საომარი გარჩისას იყო ხოლმე და ამ გზით, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც ახერხებს, ქართველ ხალხს მოაშოროს მშობლიური მიწის ფაქტური დაკარგვის საშინელი აჩრდილი. ეკონომიკური ბრძოლა, თევზ წარმოიდგინეთ, ყველა სხვა ბრძოლაზე უფრო რთული გამოდგა, რადგან ერისგან მოითხ-ოვა, მკაცრად განეკითხა თავისი შინაგანი სამყარო; გააზრებულად და გემაზომიერად გარდაექმნა თავისი ხასიათის მრავალი მხარე; გულიდან ამოეშანთა ბევრი ისეთი რამ, ადრე რომ ეთაყვანებოდა, ხოლო თაყვანი ეცა ისეთი რამებისთვის, რის თაყვანისცემასაც ჩვეული არ იყო.

რუსეთთან შეერთების 117 წელი მკვეთრად იყოფა ორ თითქ-მის თანაბარ პერიოდად: პირველი იწყება 1801 წლის აქტიდან

1. mot d'ordre (ფრანგ.) – ლოზუნგი.